სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ნანი ბარათელი

ეთიკური პრობლემატიკა გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

ქართული ლიტერატურის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: **თამარ გელიტაშვილი**

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

გორი 2020

ანოტაცია

ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია თანამედროვე ქართველი მწერლის, გიორგი სოსიაშვილის შემოქმედების ეთიკური პრობლემატიკის განხილვა და იმ სიახლეთა წარმოჩენა, რაც პროზაიკოსს სხვა ქართველ მწერალთაგან გამოარჩევს.

გიორგი სოსიაშვილის შემოქმედება იმ მხრივაც არის განსაკუთრებული, რომ მრავალმხრივი მიმართულებით ვითარდება, როგორებიცაა: სამეცნიერო ნაშრომები, მონოგრაფიები, მხატვრული თუ მხატვრულ-დოკუმენტური ნაწარმოებები. ჩვენს სამაგისტრო ნაშრომში აქცენტი მწერლის შემოქმედების ეთიკურ ნაწილზე გადავიტანეთ; ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა, როგორც „მართლის თქმის“ პრინციპსა და ეროვნული მანკიერებების მხილებას, ასევე გიორგი სოსიაშვილის შემოქმედების იმ წამყვანსა და უმთავრეს მოტივს, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომსა და შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრები ადამიანების უმძიმეს ყოფას ასახავს.

ლიტერატურა საზოგადოებრივი ცხოვრების ერთგვარი სარკეა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და ასრულებს საზოგადოების ფორმირების საქმეში, რომლის შემდეგადაც სოციუმში იმატებს თვითშეგნებისა და ზნეობრიობის განცდა, ყალიბდება ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრის გზები და შესაძლებლობა. თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ გიორგი სოსიაშვილი სწორედ ის მწერალია, რომელიც საკუთარი შემოქმედებით ერის სულში ჩაბუდებულ მანკიერებათა ამოფხვრა-ამოძირკვას ცდილობს.

გიორგი სოსიაშვილის შემოქმედების შესწავლა ეთიკური პრობლემატიკის თვალსაზრისით, ამ დრომდე არ გამხდარა სპეციალური კვლევის საგანი. ვფიქრობთ, ამ მხრივ, ჩვენი ნაშრომი ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს ქართულ სალიტერატურო სივრცეში. სწორედ ეს მისია გვარწმუნებს ჩვენ მიერ შერჩეული თემის აქატუალობასა და მნიშვნელობაში.

Annotation

The aim of our master's degree's thesis is to discuss the ethical problems in the works of the contemporary writer George Sosiashvili and to demonstrate the innovations that makes the riter different from others.

George Sosiashvili's creations are unique as they are developing in several ways: scientific works, monographs, fiction or non-fiction. In our thesis we are discussing the ethical part of the writer's creations. We are also underlining the principle of "Saying the truth" and exposing the national fallaciousness. We are talking about the main motive of George Sosiashvili's creations that is to describe the hard circumstances of those people who have had to live in boarder villages since the War of August 2008.

Literature is the mirror of the social life that plays an important role in the society's social formation. Thanks to it self-consciousness and morality rises in the society and the ways of solving different problem are found. We can say that George Sosiashvili is the very writer who tries to find and uproot the fallacious things that are rooted in the nation with the help of his creations.

Studying ethnical problems in the creations of George Sosiashvili has not become the topic of research as yet. That's why we think our thesis is a novelty in the sphere of Georgian Literature. That's the mission that makes us believe in the importance and actuality of the topic chosen.

სარჩევი

შესავალი ----------4

თავი პირველი - ადამიანის დანიშნულების პრობლემატიკა გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებაში----------7

§ 1. „მავთულხლართი“----------9

§ 2. „მესაფლავები“ ----------11

§ 3 „გამცოხლებელი“ ----------16

თავი მეორე - ეროვნული მანკიერების პრობლემატიკა გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებაში 18

§ 1. „კოჭლი ცხვარი“ ----------20

§ 2. „მუხა“ ----------22

§ 3. „ბატონი ესტატე“ ----------25

თავი მესამე - კუდაბზიკობა-ამპარტავნობის პრობლემატიკა გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებაში----------27

§ 1. „დანიელები“----------31

§ 2. „უთქმელი სადღეგრძელო“----------35

§ 3. „მეთორმეტე გაზაფხული“ ----------38

დასკვნა ----------43

გამოყენებული ლიტერატურა ----------44

.

შესავალი

გიორგი სოსიაშვილი თნამედროვე ქართულ ლიტერატურას მოევლინა, როგორც კონცეფციური მხატვარი, რომელიც გამოირჩევა მხატვრული სტილითა და მოვლენების უჩვეულო აღწერით,რაც შესაძლებლობას აძლევს მკითხველს, თავი ამბის მოქმედ პერსონად წარმოიდგინოს. ამ ფაქტს ამძაფრებს ის გარემოებაც, რომ გიორგი სოსიაშვილი თავად არის მომსწრე და მონაწილე საზღვრისპირა რეგიონში არსებული სიტუაციისაა. ყოველივე ამის მაღალმხატვრულად გადმოცემას პროზაიკოსი დიდი მწერლური ოსტატობითა დაგამორჩეული ნიჭის წყალობით ახერხებს.

გიორგი სოსიაშვილის შემოქმედება ორი მიმართულებით ვითარდება: ერთის მხრი,როგორც მეცნიერისა და ისტორიკოსისა, ხოლმე მეორე მხრივ, როგორც პროზაიკოსისა.

ჩვენს სამაგისტო ნაშრომში განვიხილავთ გიორგი სოსიაშვილის მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებშიც საზოგადოებაში არსებული ეთიკური პრობლემატიკაა წარმოდგენილი.

გიორგი სოსიაშვილი ქართულ ლიტერატურას მოევლინა, როგორც სიახლის შემომტანი, რასაც მისი ჟანრობრივი თუ თემატური მრავალფეროვნება განაპირობებს. მასვე უკავშირდება გარკვეული თემატიკისდამკვიდრებაც ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში, მაგალაითად, როგორიცაა „მავთულხლართი“. ეს ფაქტი აშკარად მეტყველებს იმაზე, რამდენად ახლოა მწერლისათვის ქართულ-რუსულ-ოსური კონფლიქტით გამოწვევული შედეგების სიმძიმის ასახვა ქვეყნისა და კონკრეტული ადამიანების ცხოვრების მაგალითზე.

ggიორგი სოსიაშვილი ჩვენი დიდი წინაპრების გზის გამგრძელებლადაც გვევლინებაა, იმ დიდი წინაპრებისა, რომლებიცჭეშმარიტი მწერლის დანიშნულებად ერის ჭირისუფლობას, მისი სატკივრის გაზიარებასა და ეროვნული მანკიერების მხილებას მოიაზრებდნენ.

ჩვენი სამაგისტრო ნაშრომი დავყავით სამ თავად და რამდენიმე ქვეთავად:

პირველ თავში განხილულია ადამიანის დანიშნულების პრობლემატიკა გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებაში - შემდეგი ნაწარმოებების მიხედვით: „მავთულხლართი“, „მესაფლავენი“, „გამცოცხლებელი“.

მეორე თავში - ეროვნული მანკიერებების მხილება გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებაში - მიმოვიხილეთ შემდეგი ნაწარმოებები: „კოჭლი ცხვარი“, „მუხა“, „ბატონი ესტატე“.

მესამე თავში - კუდაბზიკობა-ამპარტავნობის პრობლემატიკა გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებაში - ვიხელმძღვანელეთ შემდეგი ნაწარმოებების მიხედვით : „დანიელები“, „უთქმელი სადღეგრძელო, „მეთორმეტე გაზაფხული“.

შეუძლებელია გიორგი სოსიაშვილის მწერლური მისიისა და მრწამისის სრულად გააზრება ერთ მცირე სამაგისტრო ნაშრომში, ესუფრო ფართო კვლევა-ძიებას მოითხოვს, რასაც სამომავლო საქმედ დავისახავთ.

თავი პირველი - ადამიანის დანიშნულების პრობლემატიკა გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებაში

ადამინის დანიშნულების საკითხი ამქვეყნად ყველაზე დიდი ზნეობრივ-ეთიკური პრობლემაა და, რაც უფრო მეტად ვითარდება სამყარო, მით უფრო მეტია მოთხოვნა მისი არსებობის შესახებ.

„ეთიკა უნდა იყოს სწავლება ადამიანის დანიშნულებისა და მოწოდების შესახებ და მან უპირველესად უნდა შეიმეცნოს, რა არის ადამიანი, საიდან მოვიდა ის და სად მიდის“ **(ბერდიაევი 1993:41).**

ამდენად გიორგი სოსიაშვილის პროზის ეთიკურ მრწამსზე წამოდგენას ვერ შევიქმნით, თუ, უპირველეს ყოვლისა, არ გვეცოდინება, როგორ არის გააზრებული და შემეცნებული ადამიანის რაობის საკითხი მწერლის შემოქმედებაში.

გიორგი სოსიაშვილის მოთხრობებსა თუ ნოველებში ყოველთვის მტკივნეულად დაისმის საკითხი ჩვენს საზოგადოებაში ჩაბუდებული ეთიკური პრობლემატიკისა. თითოეულ ნაწარმოებში აშკარა და თვალნათელია მწერლის დამოკიდებულება ამქვეყნად ადამიანის დანიშნულების შესახებ. ზოგადად, მწერლის, ანუ მიწიერი შემოქმედის მოვალეობაა, მკითხველამდე შეულამაზებლად მიიტანოს საზოგადოებაში არსებული მანკიერებანი და სახალხოდ ამხილოს იგი. გიორგი სოსიაშვილი სწორედ ამ ყაიდის პროზაიკოსია და მისი ქმნილებები ამ მხრივაც გამოირჩევა. ის თავის შემოქმედებაში „მართლის თქმის“ პრინციპის გამტარებელია და ასე ცდილობს, ჩვენში ჩაბუდებული ხარვეზების აღმოფხვრას. ამ მხრივ ის ჩვენი დიდი წინაპრების, დავით გურამიშვილისა და ილია ჭავჭავაძის პრინციპების გამტარებელია და მისი მახვილი კალამი იქითკენ არის მიმართული, რომ ერი „სარკეში ჩაახედოს“, საკუთარი ზადი და ნაკლი დაანახოს და გამოსწორებაზე ფიქრი დააწყებინოს. საამისოდ კი ხშირად გიორგი სოსიაშვილის თხრობას სარკასტული კილო გასდევს თან, სადაც მწერლის მწარე ირონიაში მისი დაფარული გულისტკივილი იგრძნობა.

როგორც მკვლევარი სოსო სიგუა აღნიშნავს: „გიორგისოსიაშვილიჩვენისინამდვილისკონცეფციურიმხატვარია. იგიცალკეულიპერსონაჟებით, დიალოგებით

გადმოგვცემსეროვნულდრამას, დეტალებითაღადგენსმთლიანსურათს, რეალურსდაარამიკერძოებულსანრომანტიკულს“ (**სიგუა** http://files.gu.edu.ge:81/gs/files/sigua.pdf).

ადამიანური დანიშნულების პრობლემა გიორგი სოსიაშვილის ნაწარმოებთა მთავარი მაგისტრალური ხაზია. არ არსებობს მოთხრობა ან ნოველა, რომ მსგავსი ხასიათის ქვეტექსტს არ შევხვდეთ. ამიტომაც დგას მისი ნაწარმოებები შიშველი ნატურალიზმიდან შორს და უმეტესობას მეორეული პლანი და ღრმა აზრობრივი შინაარსი გააჩნია.

მართალია, უდიდესი განსაცდელი მოუვლინა ღმერთმა ქართველ ერს 2008 წლის აგვისტოში,სამაჩაბლო-საქართველოს საომარი დაპირისპირებით, მაგრამ, ცხადია, რომ ომმა ვერ დაამარცხა ჩვენში საგულდაგულოდ ჩაბუდებული მანკიერებანი.

თითქოს ომს უნდა გაემძაფრებინა თანადგომის, ერთმანეთის გატანის განცდა, მაგრამ პირიქით კი მოხდა - ომგამოვლილი ხალხი უცებ ბრბოდ იქცა. სწორედ ეს პრობლემატიკაა დაუფარავად ასახული გიორგი სოსიაშვილის მოთხრობებში: „მავთულხლართი“, „დანიელები“, მესაფლავენი“, „კოჭლი ცხვარი“, „გამცოცხლებელი“, „მუხა“ და სხვ.

ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის მთავარ ამოცანად დავისახეთ, რომ გამოწვლილვით მიმოვიხილოთ გიორგი სოსიაშვილის დასახელებული მოთხრობები და მათი ანალიზისა და ინტერპრეტაციის მაგალითზე დაყრდნობით, გამოვკვეთოთ ის პრობლემატიკა, რომლის შესახებაც ვმსჯელობთ წინამდებარე ნაშრომში.

§ 1. „მავთულხლართი“

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ **მავთულხლართის** თემა გიორგი სოსიაშვილმა შემოიტანა ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობაში და მას შემდეგ არაერთი პროზაული ქმნილება მიუძღვნა მას. ამათგან გამორჩეულია მოთხრობა „მავთულხლართი“.

„მავთულხლართი“ დაიწერა 2015 წელს და იმავე წელს შევიდა გიორგი სოსიაშვილის პროზაულ კრებულში **„მავთულხლართი“**.დასახელებული მოთხრობა 2008 წლის აგვისტოს ომის თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოებია, რომელიც გამყოფი ხაზის პირას მცხოვრები ადამიანების ულმობელ ყოფას, მათ ყოველდღიურ გაუსაძლის მდგომარეობას ასახავს, იმ მიუღებელ რეალობას, რომელმაც მავთულხლართით შემოსაზღვრული ბარიერი გააჩინა ოს და ქართველ ხალხს შორის.

„გიორგი სოსიაშვილის ნოველებში მავთულხლართი ხილულიცაა და უხილავიც, საზღვრად გავლებულიც (დროებითია თუ არ არის, საზღვარი საზღვარია) და სულზე ამოდაღულიც, ძალდაუტანებლად რომ განზოგადდება და გასიმობლოვდება.**(ჩხეიძე http://146.255.238.21/files/rostom-cheidze.pdf).**

მწერალი ხატოვნად და საოცარი დრამატულობით აღწერს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები თედო პაპას ისტორიას, რომლის სახლშიც ნელ-ნელა კვდება სიცოცხლე. მხოლოდ მამალიღა დარჩა მოხუცს მტრის „გულის გასახარად“. მართალია,შიგადაშიგ „ჰალსტუხიანებიც“ესტუმრებიან ხოლმე, მაგრამ მათი მთავარი მიზანი არა რეალურიტრაგედიის აღქმა და მარტო, ღვთის ანაბარად მიტოვებულიხალხის პრობლემების გულთან მიტანა, არამედ პოლიტიკური ქულების დაწერაა. ეს ფაქტი კიდევ უფრო ამძიმებს პერსონაჟ თედოს სულიერ მდგომარეობას, რომელსაც ორი მტერი ჰყავს ახლა - სიბერე და სიმარტოვე.

სწორედ თედოსნაირ ადამიანებზე საუბრობს გიორგი ხორბალაძე გიორგის სოსიაშვილის მოთხრობის მიმოხილვისას: „ტრაგედიას, რომელსაც მოაქვს ტანჯვა-წამება, უბედურება, სიკვდილი და, ამავდროულად, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს,

ზოგჯერ პიროვნული ტრანსფორმაცია-სუბლიმაცია და სულიერი ამაღლება; ერთი შეხედვით, მსჯელობა უდავოდ შეიცავს პარადოქსულ ნიშნებს, თუმცა, ფაქტია, რომ, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ამ ფენომენს უნდა „უმადლოდეს“ ნებისმიერი ერი, რომელსაც ომში რიგითი მოკვდავი, უკვდავ გმირად გადაექცა. მსგავსი რეალობა უდავოდ აღძრავს რამდენიმე საინტერესო შეკითხვას: საიდან მოდის გმირული სული? როდის ჩნდება იგი ადამიანში? და რატომ არ შეგვინიშნავს ფაქტის დადგომამდე?“ **(ხორბალაძე 2015:15).**

სწორედ ასეთი გმირი ადამიანია თედო პაპა, რომელსაც სანუკვარმა სურვილმაც ვერ ააღებინა ღისებაზე ხელი - მან გადაწყვიტა, შეპარულიყო ცოლის საფლავზე და სამადლოდ არ ეთხოვა რუსებისთვის დახმარება - ძღვენით არ ხლებოდა მათ. ალბათ, სიმბოლურია, რომ თედო პაპა აღდგომის ღამეს კვდება საზღვარს მიღმა დარჩენილი მეუღლის საფლავზე.მისი სიკვდილი გამარჯვებაა მტერეზე, როგორც მაცხოვრის აღდგომა და სიკვდილით სიკვდილის დამარცხება.

როგორც თამარ გელიტაშვილი აღნიშნავს: „მოთხრობა „მავთულხლართი“ მკითხველს კიდევ ერთხელ შეახსენებს, რომ ჩვენ, ყველანი, პერსონაჟ თედოს მსგავსად, მავთულხლართის პირისპირ ვიმყოფებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას დანარჩენი საქართველო ისე ღრმად და მწვავედ ვერ შეიგრძნობს, როგორც ლიახვისპირას ღვთის ანაბარად დარჩენილი ხალხი. მოთხრობაში ჩვენი თანადროული რეალობა არის დახატული. ბეროაანთ თედოს გამჭოლ მზერაში დაკვირვებული მკითხველი უმალ ამოიკითხავს „ჩვენი ქვეყნის უბედურების ნაცარტუტას“. ბერიკაცის უიმედობით ამოლესილი თვალებიდან ყოვლისმომცვლელი სკეპსისი იმზირება“ **(გელიტაშვილი 2016:75).**

§ 2. „მესაფლავენი“

გიორგი სოსიაშვილის მოთხრობა „მესაფლავენი“, 2017 წელს დაიწერა და იმავე წელს ცალკე წიგნად დაიბეჭდა. ნაწარმოები თვალნათლივ გვიხატავს 2008 წლის ქართულ-ოსურ-რუსული კონფლიქტის მძიმე რეალობასა და ჯვარს, რომლის ზიდვაც უხდებათ ნაწარმოების მთავარ პერსონაჟებს. მოთხრობაში იკვეთება წარსული და მომავალი. ყველაზე ტრაგიკული კი ის მოცემულობაა, რომ პროტაგონისტ ნიკოს უფრო მეტად გარდასულ დღეებზე ეფიქრება, მხოლოდ იგი ეძვირფასება, იქიდან გამომდინარე, რომ წარსულში დარჩა მისი სიმშვიდეცა და ბედნიერებაც. მართალია, იგი მზად არის, რომ ბიბის გამო იცოცხლოს, მაგრამ რეალობა, რომელშიც ის ცხოვრობს, შთაგონებული და გაჯერებულია წარსულის ლანდებით, მოგონებებითა და მეზობელ-მეგობრების სიყვარულით, იმ სიყვარულით, რომლის წინაშეც უძლურია მავთულხრათიცა და რუსული საგუშაგოც.

მავთულხლართის თემის სიმძიმეს ეხმაურება როსტომ ჩხეიძე: „მავთულხლართები ვერ აოკებს ქართველთა და ოსთა ურთიერთლტოლვას - მათ წარმომადგენელთა შორის გაჩენილ მეგობრობას, რომლის საწინდარიც თუნდ ბაღი უნდა აღმოჩნდეს, ხან ერთი რომ პატრონობს და ხანაც მეორე; ეღობება მათ შორის ჩასახულ სიყვარულსაც, ოჯახის შექმნით რომ უნდა გვირგვინდებოდეს... და ეს ყოველივე წარმოსახულია ლირიზმითაც, დრამატიზმითაც და ნატიფი იუმორითაც, ასე რომ შვენის რელიეფურად გამოკვეთილ ხასიათებს“ (ჩხეიძეhttp://146.255.238.21/files/rostom-cheidze.pdf).

მოთხრობა „მესაფლავენი“ მეტად მტკივნეულად ასახავს ომის საშინელებას, რომელსაც უფრო ამძაფრებს ამ რეალობას შერჩენილ, მიტოვებულ ადამიანთა ყოფა. იგი მოგვითხრობს სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ურთიერთობაზე, რომელთაც, მართალია, წარსულში ბევრი უთნხმობა ჰქონდათ, მაგრამ დაძლიეს ადამიანური გაუცხოებისა და ყოველგვარი მანკიერების განცდა და ახლა ერთად დგანან საერთო

მტრისა და მავთულხრათის პირისპირ, თუმც სხვადასხვა მხრიდან, მაგრამ მაინც ერთმანეთის იმედად. ეს ფაქტი დასტურია ოსი და ქართველი ადამიანების ძმობისა და, ამასთანავე, იმედიცაა ერთიანი მომავლისა. აქვე უნდა ითქვას, რომ სისხლიანმა დაპირისპირებამ ოსსა და ქართველს უფრო მოანატრა ერთმანეთი, ვიდრე ერთ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებს.

„მესაფლავენი“, თავისი თემატურ-სიუჟეტური სიმძაფრით ძალზე ემოციური ნაწარმოებია და არ არსებობს ადამიანი, რომ ცრემლის გარეშე წაიკითხოს.

ამ თემას ასე ეხმაურება მარია ტოტიკაშვილი:

„გიორგი სოსიაშვილი არის ის მწერალი, რომელიც ცდილობს, ყოველთვის შეგვახსენოს ადამიანთა გმირობა, თავგანწირვა, ურთიერთსიყვარული თუ მეგობრობა, სიყვარული ადამიანებისადმი თუ სიყვარული სამშობლოსადმი, განსაკუთრებით კი იმ დროს, რომელსაც ომი ჰქვია. დიახ, ომი არის დრო, როდესაც ადამიანები ერთმანეთს ვებრძვით, ერთმანეთის ხორცს ვგლეჯთ, ერთმანეთის სისხლს ვღვრით, „ვიღაცა ერთეულების“ სურვილისამებრ, საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ. თუმცა, ამასთანავე, ეს არის დრო, როდესაც ადამიანები ერთიანდებიან და ყველაზე მეტად უახლოვდებიან ერთმანეთს. „ზოგი ჭირი მარგებელიაო“ - რა კარგი და ამავდრულად, რა უცნაური ნათქვამია! ჭირის მარგებლობა საიდან? მაგრამ ამ დროს ხომ ყველაზე კარგად ჩანს ის იდუმალი სიმებიც კი, რომლებიც ადამიანთა გულებს შორის არის გაბმული, სიმები მეგობრობისა, ერთურთის სიყვარულისა... სინამდვილეში ქართველები და ოსები კი არ შესძულდნენ ერთმანეთს, უბრალოდ დაშორდნენ ფიზიკურად, არსებითად კი, მათი გულები არ დაშორებულან“ (**ტოტიკაშვილი http://146.255.238.21/files/mari-totikashvili.pdf_).**

გიორგი სოსიაშვილი ამ მოთხრობაში ყურადღებას ამახვილებს ადამიანის დანიშნულებაზე, მის უკვე განსაზღვრულ როლზე, დაუნდობლობსა და სისასტიკეზე, სისატიკეზე, რომელიც მისი თანმხლები მოვლენაა და, სინანულის მიუხედავად, კვლავ განაგრძობს იმავეს. „ადამიანის დაუნდობლობა ბავშვობიდან იწყება - ყვავილს რომ უაზროდ მოწყვეტ, ბუდიდან ამობრუნებულ კვერცხებს რომ დაამტვრევ, ხვლიკს რომ კუდს მოგლეჯ... ყველაფერი თავის ადგილზეა, მაგრამ შენ მაინც არ მოგწონს... რაც არის, იმის შეცვლა გინდა, ვიღაცის დაჩაგვრა გინდა, ბავშვი ხარ და მაინც ჯიბრით იქცევი. ამ

ყველაფერს მე ვერ ავხსნი, ამდენი რაღაცები არ ვიცი, უბრალოდ მიკვირს, უბრალოდ მიკვირს. იზრდები, თითქოს ბავშვობაში ჩადენილ რაღაცებს ნანობ, ჩიტების მოკვლას ნანობ, ძაღლის ლეკვების გადაყრას ნანობ, ათას რამეს იხსენებ სინანულით, მაგრამ უფრო დაუნდობელი ხარ, უფრო ჯიბრიანი, უფრო გულქვა და სულ მტერი ხარ. ბავშობაში ბუნების მტერი ხარ დიდობაში - ადამიანების. არ არსებობს შენი ცხოვრების არც ერთი წამი, რომ ვიღაცის მტერი არ იყო. შენ თვითონ მტერი ხარ და და ამ დროს მტრებს ეძებ“ **(სოსიაშვილი 2017 :9)** - ვკითხულობთ ნაწარმოებში და ჩვენ თვალწინ ცოცხლდება პრობლემა ადამიანური ყოფის დანიშნულებისა სამყაროში.

„მესაფლავენის“ პერსონაჟი ნიკო ცხოვრებამ უფრო რთული პრობლემის პირისპირ დააყენა. ის საკუთარ სახლ-კარსა და ცოლ-შვილის საფლავს დანატრებული კაცია, რომელმაც იცის, რომ ყველაფერი წარსულში დარჩა. ეს კიდევ უფრო მეტ დრამატულობას სძენს ტექსტს, მაგრამ მაინც აქვს ნიკოს იმედი, რომ მოვა დრო და ნანატრი ადგილებისა და საფლავების მონახულებას შეძლებს. სწორედ ამ იმედს ებღაუჭება იგი და სწავლობს რეალობასთან თვალის გასწორებითა და მიწის სურნელის მონატრებით ცხოვრებას.

სწორედ აქედან იწყება წარმოუდგენელი და სასიამოვნო ამბები მის ცხოვრებაში: გამოჩნდება მისი მეზობელი ოსი ბათო, რომელსაც ადრე ქართველებმა გადაუწვეს სახლ-კარი და, რომლის წინაშეც ნიკო დანაშაულს გრძნობს და შემდეგ სიტყვებს ამბობს: „ერთმა ჩვენებურმა გაყიდა სახლი, შვილმა დედაქალაქში წაიყვანა და ის სახლი იყიდა ბათომ. რო ვუყურებდი, თვალს ვერ ვუსწორებდი ხოლმე. ასე მეგონა, მე ვიყავი დამნაშავე, მე მოვუკიდე ცეცხლი მის სახლს, მე გადავუწვი მამისეული საცხოვრებელი“ **(სოსიაშვილი 2017:35).**

სიზმრების ამარა დარჩენილ ნიკოს ამ ცხოვრებაზე ხელის ჩაქნევა მიღებულმა კონვერტმა გადადაფიქრებინა. კონვერტი, რომელმაც მავთულხლართი გადმოიარა და ქართველთა და ოსთა ბარიერი გაარღვია, დასტურია ორი ერის - ქართველებისა და ოსების მონატრებისა, ერთად ყოფნისა და ერთიანი მომავლისა. ბათოს სიტყვები სულისშემძვრელია. იგი საუბრობს მონატრებაზე, იმაზე, რომ ცრემლი ახრჩობს და თავის შვილს იმედს აძლევს, მეზობლები დაბრუნდებიან... ყველაზე სულისშემძვრელი კი მაინც ისაა, რომ მათ ერთმანეთის ყველაზე სანუკვარი რამ ჩაიბარეს და დიდი

რუდუნებით უფრთხილდებიან - ეს მათი ოჯახის წევრების საფლავებია. ოსიცა და ქართველიც ერთმანეთის მესაფლავედ იქცნენ. როგორც ნაწარმოებიდან ხდება ცნობილი, ნიკოცა და ბათოც ზნემაღალი ადამიანები არიან, რომელთაც მოყვასის სიყვარული გაუხდიათ მთავარ მამოძრავებელ ძალად და ამქვეყნიურ დანიშნულებად.

ნაწარმოების ეპიზოდს ასე ეხმაურება მარინე ცერცვაძე:

„ღმერთის ნებად მიიჩნევენ თავსდატეხილ უბედურებას კორპუსებში გამოკეტილი ლტოლვილები და ის გამონათებები, ნიკოს გაუსაძლის ყოფას რომ ააფორიაქებს ადგილ-ადგილ, ყველას ვერ გასწვდება. უმეტესობა მიტოვებული საფლავებისა მოუვლელია, აღდგომა დღეს სასაფლაო ცარიელია, ლტოლვილთა სახლები გაძარცვული და დანგრეულია და ნახეთ რა ძალისხმევის ფასად აკეთებს ოსი კაცი იმ ყველაფერს, რაზეც გვიყვება ავტორი - ჯანმრთელობის ფასად. ასეთები ერთეულებია, მაგრამ ხომ არიან. ამას დანახვა უნდა, ოსტატურად და დამაჯერებლად დახატვა უნდა, რომ ვინმემ დაგიჯეროს, თორემ სახალისო თემას რა გამოლევს“ **(ცერცვაძე http://146.255.238.21/files/CERCVADZE.pdf).**

ცისფერთვალება გოგონა, რომელიც სამუშაო შეხვედრის ფარგლებში ეწვია ბათოს, ის იშვიათი გამონაკლისია, მარტოოდენ სამსახურებრივი მოვალების გამო რომ არ ინტერესდება ადამიანთა ცხოვრებით. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ოსი და ქართველი ძმები სტამბულის მიწაზე ხვდებიან ერთამენთს, სიყვარულის, მონატრებისა და ერთიანი მომავლის რწმენით.

ნაწარმოების ფინალს ასე აფასებს ნანული ეცადაშვილი: „მაინცრანი ვართ ადამიანები? კამათი, ჩხუბი, მიღმა ყოველივე ამისა კი უდიდესი სიყვარულია ერთმანეთისა, რომელსაც თითქმის არასოდეს ვაძლევთ გასაქანს. რამდენჯერმე დავუბრუნდი ნაწარმოების ფინალს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც კითხულობ, გტკივა, მაგრამ ეს ტკივილი კვლავ გიზიდავს, რომ ახლიდან შეიგრძნო და აღივსო ემოციებით, შემდეგ კი ცრემლებად დაღვარო ეს ემოციები. თითქოს ერთი ხელისმოსმით დაეწერა მწერალს ეს ნაწარმოები. არც ერთი ხელოვნური სიტყვა, არც ერთი არაბუნებრივი ქმედება, მხოლოდ წმინდა ადამიანური გრძნობები. წარუშლელია შთაბეჭდილება. დიდია სევდა. უფრო დიდი კი სიხარული, როგორ საოცრად გვაჩვენებენ ხოლმე მწერლები მარტივ ჭეშმარიტებებს, რომელთაც, რაოდენ ბევრიც არ უნდა ვამტკიცოთ,

ვერ ვხედავთ ყოველდღიურ ცხოვრებაში და რა ბედნიერებაა, როდესაც ვინმე, ასე საოცრად, შეგვახსენებს, თუ როგორ გვიყვარს და გვჭირდება ერთმანეთი... საოცარია, უმცირეს ტექსტში რაოდენ დიდი აზრი ჩაუტანებია ავტორს“ **(ეცადაშვილიhttp://146.255.238.21/files/nanuli-etsadashvili.pdf).**

§ 3. „გამცოცხლებელი“

გიორგი სოსიაშვილის კიდევ ერთი, ზნეობრივი პრობლემატიკით აღსავსე ნაწარმოები - „გამცოცხლებელი“ 2018 წელს დაიწერა და შევიდა ამავე სახელწოდების კრებულში. მხატვრული სიტყვის დიდოსტატი მწერალი კრებულში „გამცოცხლებელი“ „სიცოცხლის მარადისობას ეხმიანება, სწორედ ამაზე საუბრობს თამარ გელიტაშვილი: „ამ ნაწარმოებიდან თვალნათლივ იკვეთება მწერლის შინაგანი განცდა და სიცოცხლის დაუძლეველი წყურვილი.შეიძლება თამამად ითქვას, რომე ეს ახალი წიგნი სიმღერაა სიცოცხლის სიყვარულზე, მისი მადიდებელი ჰიმნია. კრებულში შემავალი თითქმის ყველა მოთხრობა სიკვდილის დათრგუნვის, სიცოცხლით მისი დამარცხების დაუძლეველ სურვილს ეხმიანება. მათი კითხვისას მკაფიოდ ჩაგვესმის სიცოცხლის მოტრფიალე ადამიანის განწირული შეძახილი- „სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ“ **(გელიტაშვილი 2018 :5)**

რაც შეეხება უშუალოდ მოთხრობა „გამცოცხლებელსა“ და მის შინაარს, უნდა ითქვას,რომ მაში, საერთო სატკივარის გარდა,საკმაოდ ღრმააზრობრივი ქვეტექსტია გადმოცემული.შემოქმედი თავის ცოდვილ შვილებს კიდევ ერთ შანსს აძლევს ვნებათა, ადამიანური ცოდვებისა და მანკიერებების გამოსასწორებლად, ეს ერთგავრი გამოცდაა, დასტური იმისა, თუ რატომ დაწესდა ქვეყნად სიკვდილი.

მოთხრობის დასაწყიში მოხუც მოძღვარსა და მის მსახურს მეტად უჩვეულო სტუმარი ეწვევათ,რომელიც მასპინძლებს, ერთი შეხედვით, დაუჯერებელ ამბავს მოუთხრობს მიცვალებულის გაცოცხლების შესახებ,თან დასძენს, რომ მას ნამდვილად სწამს უფლის. შესაბამისად,ამბავი, რომელსაც ჰყვება, მართალი და საკუთარი თვალით ხილულია.დიალოგის განვითარებასთან ერთად, მღელვარება იმატებს მოძღვრისა და მსახურის ქცევებში, ხოლო ნიკო მეტად თავშეკავებულია და მონათხრობის ლოგიკურ ჭრილში გადაყვანას ცდილობს, თუმცა მის ხასიათშიც იღვიძებს ადამიანთა ჩვეული ბუნება და გამცოცხლებლის მატერიალურ დაინტერესებაზე აკეთებს აქცენტს. ისევე, როგორც მეტად საინტერესოა მსახურის რეაქცია, რომლის ხასიათშიც ეგოიზმი მძვინვარებს. მან იცის, მეორედ მოსვლის ჟამს ყველაფერი შეიცვლება და შეიძლება,

დაკარგოს კიდეც პოზიციები.ზნეობრივი საკითხის კიდევ ერთი გამოხმაურებაა უმადურობა გაცოცხლებულთა მხრიდან, რასაც პერსონაჟი ამირანი აჟღერებს: „-ფრთხილად მამაო, ესენიც კი არ აკრიფეს, ეგრე დატოვეს და წავიდნენ. თავიანთი კუბოები მაინც აეღოთ და სადმე გადაეყარათ“**(სოსიაშვილი 2018:52)**.

ნაწარმოების ერთ-ერთი ღრმაშინაარსობრივი მომენტი, ყველაზე ტრაგიკული და სულისშემძვრელი, არის ის, რომ სასოწარკვეთილება, რომელიც რწმენის ნაკლებობითა და ღვთს არსებობაში დაეჭვებით არის გამოწვეული, სასულიერო პირებსაც ახასიათებთ: „-ღმერთო,ღმერთო! -ნიკაპი უცახცახებს ნილოს. - მართლი ყოფილა ეს კაცი,მართლი ყოფლა. - ნარჩემანიც ცახცახებს.

-მამაო,რა ხდება,მამაო?-ნილოს შესცქერის. -მეორედ მოსვლა იქნებ დაიწყო და ჩვენ ვერ გავიგეთ?

ნილო ხმას არ იღებს.დაცარიელებულ მკვდართა საუფლოდან მიფრინავე სამას წელს გადაცილებული ყავავები.

-მამაო!-სასოწარკვეთილი ხმა აქვს ნარჩემანს.

- თავი დამანებე!-ხმის კანკალით თქვა ხუცესმა.

იდგა დიდხანს,ანაფორას ქარი უფრიალებდა და როდის, როდის ჰკითხა ამირანს: -სად წავიდა ეს ხალხი?-ვინ ხალხი,მამო?-გაცოცხლებული ხალხი სად წავიდა ან ის კაცი,გამცოცხლებელი.

ნარჩემანს უფრო გაცოცხლებული,საიქიოდან გამოსული ხალხის ნახვა აინტერესებდა და, მიუხედავად იმისა, რო მთელი ცხოვრება ნილოსთნ გაატარა და ულოცველად ლუკმა არ გადასცდენია,მაშინვე ამას შეეკითხებოდა: „-ღმერთი ნახეთ? ღმერთი მართლა არსებობს?“ მათზე უკეთესად ვის ეცოდინებოდა ეს ამოუხსნელი ამბავი, თუ რა დავარქვათ,დღემდე მის ძებნას რომ შეაკლა თავი კაცთა მოდგმამ“**(სოსიაშვილი 2018:53)**.გიორგი სოსიაშვილი ამ მოთხრობით კიდევ ერთხელ თვალნათლივ გვიხატავს საზოგადოებაში არსებულ ეთიკურ პრობლემატიკას და მხატვრული შემოქმედების საშუალებით შეგვახსენებს, როგორც უფლის შეუმცდარობას, ასევე ადამიანთა დანიშნულებას წუთისოფელში.

თავი მეორე - ეროვნული მანკიერების პრობლემატიკა გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებაში

ყველაეპოქის მწერლობასთავისიგანსაკუთრებულიწარმომადგენლებიჰყავს, რომელთა ნაწარმოებებიცარა მხოლოდ ლოკალური, ეროვნული პრობლემატიკის შემცველია, არამედ ზოგადსაკაცობრიოსიც.მშობლიური მიწის სიყვარული და ერთგულება წარმოადგენდა საფუძველს ქართველი ერის მარადიული არსებობისას, რომელიც ასახვას ყველა დროში ჰპოვებდა ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობაში.

„სიყრმიდანვე ქართლის ბედს აყოლილი“ (ილია ჭავჭავაძე) ქართველი მწერლები, სამშობლოს მაჯისცემასა და გულისფეთქვას მიყურადებულნი, ერთგული და გულდამწვარი ჭირისუფალნი მისი წყლულებისა, სასოებით მადღეგრძელებელნი მისი ოცნებისა და სიხარულისა, ქართული „ენაძლიერობითა“ და „ენაბარაქიანობით“ იღვწოდნენ, „თვალსაფერისად“ გამოეთქვათ თავიანთი სიყვარული ჭირნახული სამშობლოსადმი, ამის პასუხად კი არც ტალახის სროლა მოჰკლებიათ საკუთარი ხალხისგან და არც დაუმსახურებული ლანძღვა-გინება. ამის მიუხედავად, სამშობლოს კეთილდღეობის სადარაჯოზე მდგარი ღირსეული ქართველი შემოქმედნი მაინც ჯიუტად განაგრძობდნენ „მართლის თქმის“ პრინციპის დაცვას და სააშკარაოზე გამოჰქონდათ საკუთარი ქვეყნის მანკიერებანი. ამას, რა თქმა უნდა, უაზრო ახირების გამო კი არ ჩადიოდნენ, არამედ, პირიქით, ნაკლოვანებათა მხილებით, საკუთარი ერის გამოსწორების გზაზე დაყენება სურდათ. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ქართულ ლიტერატურაში დავით გურამიშვილი და ილია ჭავჭავაძე არიან, თუმც მაშინაც და მას შემდეგაც არ მინელებულა ინტერესი აღნიშნული პრობლემისადმი, რომელიც დღესაც, თანამედროვე მწერლობაშიც მწვავედ არის დასმული. სწორედ ამგვარ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება გიორგი სოსიაშვილიც, რომლის მთელი შემოქმედება ერში საშვილიშვილოდ ფესვგამდგარი მანკიერი თვისებების აღმოფხვრაა.

გიროგი სოსიაშვილის შემოქმედებაზე საუბრისას, სწორედ ამ ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას თამარ გელიტაშვილი, რომელიც ამობს: „გიორგი

სოსიაშვილის მოთხრობების წაკითხვის შემდეგ კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ „მართლის თქმის“ პრინციპს ჩვენში ყავლი არასდროს გასვილია. საქვეყნო სატკივარზე, ნაციონალურ მანკიერებაზე ფიქრი და განსჯა ბედისწერად ექცა ქართველ მწერალს. სიმართლის მალვა ქვეყანას არ წაადგება! - ამგვარია გიორგი სოსიაშვილის მიდგომა საკუთარი მხატვრული შემოქმედებისადმი. მისი მწერლური პოზიცია ზუსტად ესატყვისება გურამიშვილისეულ ფორმულირებას: „მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა ჰფარავს... გურამ ასათიანი ქართულ ეროვნულ თვისება-ხასიათზე მსჯელობისას, ესეში „სათავეებთან“ წერს: „ჩვენ გამუდმებით სცენაზე ვდგავართ და სხვის დასანახავად ვთამაშობთ“. თუ ეს მანკიერება არ მოვიშალეთ, სულხან-საბას თქმისა არ იყოს: „რაისა ბოროტსა მოვიკვეთთ?“ აგერ XXI საუკუნემდე გამოგვყოლია კუდაბზიკობა - ეს ფსევდოფეოდალური, ფსევდორაინდული თვისება. მწერლობა მოვალეა, ერს საკუთარ ნაკლზე მიუთითოს და ამაზე დაგვაფიქროს. გიორგი სოსიაშვილის მოთხრობები სწორედ ამის დასტურია“ **(გელიტაშვილი 2017:5-7).**

გიორგი სოსიაშვილის პროზაული ნაწარმოებები სცდება ვიწრო, ეროვნული პრობლემატიკის ასახვას, მისი ქმნილებები ფართო დიაპაზონის მქონეა და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას იძენენ.

სწორედ ამგვარი შემოქმედების ნიმუშია მოთხრობები: „მუხა“, „კოჭლი ცხვარი“, „ბატონი ესტატე“ და სხვა, სადაც მწერალი სახრემომარჯვებული კაცის ფუნქციას ითავსებს და მწვავედ ამათრახებს დემორალიზებულ ადამიანებს. გიორგი სოსიაშვილი თავისი ნაწარმოებებით ცდილობს, სარკე მიაწოდოს ჩვენს საზოგადოებას, რათა ამ გზით მაინც შეაძლებინოს, მასში ჩაახედოს და თავიანთი რეალური სახე დაანახოს.

§1. „კოჭლი ცხვარი“

გიორგი სოსიაშვილის მოთხრობა „კოჭლი ცხვარი“ დაიწერა 2017 წელს და იმავე წელს შევიდა მწერლის პროზაულ კრებულში „ნათლის გვირაბი“. მოთხრობა ზოგადეროვნულ პრობლემატიკას შეეხება, იმ მანკიერ თვისებებს, რომლებიც ღმადაა ფესვგამდგარი იმ ქართველთა გულში, რომელთათვის მედროვეობაა ცხოვრების წარმმართველი ძალა. „კოჭლი ცხვარი“ ჩვენი საზოგადოების მარადიულ პრობლემას ასახავს. მასში დაუფარავად არის მხილებული ადამიანთა გაუტანლობა, ფარისევლობა, უმადურობა, ავანტიურის გზით დიდებისაკენ ლტოლვა და მიზნის მისაღწევად ყოველგვარი ზნეობისა და მორალის მოშლა...

მოთხრობაში გადმოცემულია მწყემის ბიჭის შემთხვევითი აღზევება. მან თანამდებობაზე დანიშვნისთანავე, არათუ დაივიწყა ადამიანები, რომლებიც არსებობაში ეხმარებოდნენ, მეტიც, მათ წინააღმდეგ დაიწყო დაუნდობელი ბრძოლა. გიორგი სოსიაშვილის მოთხრობის მთავარი პერსონაჟი დურმიშხანი, რომელსაც ავტორმა ირონიულად შეარქვა „კოჭლი ცხვარი“, გამოძახილს პოვებს პოლიკარპე კაკაბაძის ყვარყვარე თუთაბერთან და მიხეილ ჯავახიშვილის კვაჭი კვაჭანტირაძესა და დამპატიჟესთან. მათ მსგავსად, „კოჭლი ცხვარიც“, პიკაროს ტიპის ავანტიურისტია, მედროვე, რომელიც, შემთხვევითობის წყალობით, რევოლუციამ ქვეყნის სათავეში მოიყვანა. „კოჭლი ცხვარი“ ამ თემატიკის გაგრძელებაა. ასეთი ტიპის ადამიანები სასტიკები და დაუნდობლები არიან. თავიანთი წარსული ცხოვრებით გაბოროტებულნი, ყველასა და ყველაფერზე არიან დაგესლილნი. ერთ დროს მენახირე დურმიშხანი ახლა ძალაუფლებას იგდებს ხელთ და ხალხის შრომით ნაშოვნი ფულით იწყებს ცხოვრებას. ადამიანების მიმართ დიდ სისატიკეს იჩენს. არც იმ კაცს ინდობს, რომელიც სიდუხჭირის დროს ხელს უმართავდა და საკვებითა თუ ჩასაცმელ-დასახურით ეხმარებოდა. დურმიშხანმა ყველაზე მეტი სისასტიკე მის მიმართ გამოიჩინა და იმ ხეხილის ბაღის წართმევა დაუპირა, რომლითაც სული ედგა გლეხს და საზრდოობდა.მისი საქციელიდან გამომდინარე, მდაბიო დურმიშხანს, რომელიც შემთხვევითობის წყალობით აღზევდა, მეტსახელად „კოჭლი ცხვარი“ შეარქვეს.

ეს მეტსახელი ყველაზე მკაფიოდ გამოხატავს იგავს ცხვრის ფარას ჩამორჩენილი კოჭლი ცხვრისა. როცა ფარა შემობრუნება, ბოლოში დარჩენილი კოჭლი ცხვარი სათავეში მოექცევა. ასე გაუმართლა დურუს და მაღალი თანამდებობის პირი გახდა. რევოლუციამ ძალაუფლების სადავეები გადასცა. დურმიშხანი განზოგადოებული სახეა მედროვე ადამინებისა, რომელიც წარმატებას საეგებოდ წამოყობილი საქმით აღწევენ. ამ ფაქტს ასე აფასებს თამარ გელიტაშვილი: „რევოლუციის მონაპოვარიც სწორდ ეგ არის - ოდესღაც შიშველ-ტიტველ, მშიერ-მწყურვალ ტეტიას რომ პირველ კაცად აქცევს და ეს სამადლოდ გამოზრდილ-შემოსილი მდაბიოც გამხეცებული ცდილობს ხალხის „მომწყემსვას“. ზნეობა მათ არ აწუხებთ და მორალი, მაშ, რამ უნდა შეაჩეროს, რამ უნდა შეაბრკოლოს მათი აღვირახსნილი ქმედება?!“ **(გელიტაშვილი 2017:10).**

ზუსტად ასე მიაღწია დურუმ ძალაუფლებას და მოექცა ხალხის სათავეში. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ მისთვის სწავლა- განათლებას ჩალის ფასი აქვს და ჰგონია, რომ რევაოლუციის მონაპოვარი მასავით გაუნათლლებელი, თუმცა წარმატებული ადამიანები არიან. ასე ფიქრობს კოჭლი ცხვარი, ყოფილი მენახირე, აწ უკვე გადიდკაცებული გაიძვერა, რომლის მიმართაც სარკაზმს არ იშურებს მწერალი: „რა იცოდნენ ძროხებმა, როგორი რევოლუციონერი დაჰყვებოდათ... რევოლუციამ ერთი კარგი მენახირე წაგვართვა“ **(სოსიაშვილი 2017:178),** მაგრამ მთავარ პერსონაჟს ერთი რამ ავიწყდება, რომ კოჭლი ცხვირს წინამძღოლობა დროებითია და ამის შესახსენებად ნაწარმოებში გლეხი ავთო გვევლინება, რომელიც თხილის სახრეს გამოჭრის და კაბინეტთან აუყუდებს დურმიშხანს, თან მის ხელქვეითებს დაუბარებს: „ეგ ჯოხი უფროსს აუტანეთ და ეგრე გადაეცით... სულ ამ კაბინეტში არ იჯდები. კოჭლი ცხვრები მალე ამთავრებენ ფარის სათავეში ყოფნასა და აეს ჯოხი შეინახე, კარგა შეინახე, ნახირი გელოდება, უბნის ნახირი-თქო“ **(სოსიაშვილი 2017:190).**

ამდენად, გიორგი სოსიაშვილის ნაწარმოების - „კოჭლი ცხვრის“ - მთავარი აზრობრივი შინაარსი, ვფიქრობთ, ის არის, რომ, როგორც წარღვნამ შესაწირად გამეტებული კოჭლი ცხვარი მოაქცია ფარის სათავეში, ისე დურმიშხანი იქცა თანამდებობის პირად, სრულიად შემთხვევით. ორივეს ლიდერობა აშფოფთებს გარშემომყოფთ, თუმცა ხსნა მხოლოდ გამოდარებშია.

§ 2.„მუხა“

გიორგი სოსიაშვილის მოთხრობა „მუხა“ 2017 წელს დაიწერა და იმავე წელს შევიდა მწერლის პროზაულ კრებულში „ნათლის გვირაბი“.

„მუხა“, ისევე როგორც ზოგადად მისი ავტორის შემოქმედება იმ მარადიულ პრობლემას ეძღვნება, რომელიც ჩვენში საგულდაგულოდ არის ჩაბუდებულ-ჩადუღაბებული. ეს ნაწარმოები კიდევ ერთი მწვავე სილის გაწვნაა საზოგადოების გამოსაფხიზლებლად.

ნაწარმოების მოკლე შინაარსი ასეთია: თანამედროვე საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის მქონე ვაიმწერალ-პოეტები რომელიღაც გაურკვეველი სახის ფესტივალზე მიკროავტობუსით მიემგზავრებიან, გზად კი ერთმანეთის ბოღმანარევი კრიტიკით არიან დაკავებულნი: „იცინე, იცინე და კი ააწყო ცხოვრება. წიგნის გამოცემა მაგას არ უჭირს. ფული მაგას არ აკლია. ისეთი მანქანით ჩამიქროლა იმ დღეს, თვალებს არ ვუჯერებდი, უშველებელი სახლი აუშენებია... მე ერთი სამზარეულო ვერ შემირემონტებია, მეზობლები თავზე მაფსამენ... მეზობლებშიც კი არ გამიმართლა... უსტაბაში... რა მოსწონთ მაგის ლექსებისა, მაინც ვერ ვხვდები, - მხრები აიჩეჩა...“ **(სოსიაშვილი 2017:213).**

გიორგი სოსიაშვილი მოთხრობა „მუხა“ გროტესკული რეალიზმის ნიმუშია, რომელიც ქართველი ინტელიგენციის ზნეობრიობის მოშლისა და დაცემა-გადაგვარების საკმაოდ მძიმე სურათს გვიხატავს. მიკროავტობუსის მგზავრები სარკაზმითა და ირონიით საუბრობენ ერთურთის შემოქმედებაზე, რასაც საერთო არაფერი აქვს ლიტერატურასთან. საზოგადოებას მათთვის მიუღებელი პოეტების მოწონების გამო აქილიკებენ და ბრობს უწოდებენ.

საინტერესოა თამარ გელიტაშვილის მოსაზრება, რომელიც ამბობს:„მიკროავტობუსი, რომელშიაც მწერლები და პოეტები იყრიან თავს, რომელიღაც გაურკვეველ ფესტივალზე გასამგზავრებლად, ჩვენი საზოგადების მიკრომოდელია... ავტობუსში თავმოყრილი ადამიანები ხანდაზმული მწერლები არიან, რომელთაც პირველობის ამბიცია კლავთ, საკუთარი ნაწარმოები შედევრი ჰგონიათ და სხვისი

შემოქმედება განქიქების ობიექტად გადაუქცევიათ. ეს ის ხალხია, თავიანთ თავს ქვეყნის უპირველეს შემოქმედად რომ მიიჩნევენ და ნაირნაირი ლიტერატურული პრემიებისა თუ ჩინ-მედლების ფრიალით, ძალასა და ენერგიას არ იშურებენ, რომ როგორმე მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონშიც დაჯავშნონ ადგილი. ასეთია ადამიანების ბუნება - სიცოცხლეში პრემიების მოპოვებაზე ხოცავენ ერთმანეთს და ახლა სიკვდილზეც ხომ უნდა იზრუნონ“ **(გელიტაშვილი 2017:13).**

როგორც ითქვა, მოთხრობაში „მუხა“ მკაცრად არის გამათრახებული ჩვენს ქვეყანაში არსებული გაურკვეველი წარმოშობის ლიტერატურული ფესტივლები და გაურკვეველი ლიტერატურული წრეების მიერ გაცემული პრემიები.

„ასეთი ფესტივალები სიყალბეა, ფარსია, მოჩვენებითია. ამიტომაც ქრება მოთხრობის ბოლოს მიკროავტობუსის მძღოლიც, რომელსაც არარსებულ ფესტივალზე დასასწრებად მიჰყავს ხალხი და ქრებიან მგზავრებიც. ამ ადამიანთა ყოფა, მათი გამუდმებული ბრძოლა პრემიებისა და ჯილდოების მოსაპოვებლად - ილუზიურია და მირაჟივით ქრება, ნისლივით იფანტება, რადგან მკითხველი საზოგადოება ხელოვანს მისი შემოქმედებით, მის მიერ შექმნილი მხატვრული პროდუქციით აფასებს და არა რეგალიებით“ **(გელიტაშვილი 2017: 14).**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიკროავტობუსი სავსესა მწრლებითა და მათი ისტორიებით, თუმცა ყველაზე ნათლად და იმედისმომცემად ერთი ახლგაზრდა იკვეთება, რომელსაც ასაკოვანი მწერალი მუხის ნერგს გადასცემს და მის დარგვას ურჩევს. მუხა მერქნის სიმტკიცის გამო, უკვდავების სიმბოლოდ ითვლება. მწერალსაც სწორედ ამის თქმა სურს: ხელოვანმა თავისი შემოქმედებით სიყვარული უნდა მოიპოვოს საზოგადოებაში, მხოლოდ ამ გზით შეიძლება უკვდავყოს საკუთარი სახელი, რომელიც მუხასავით ფესვმაგარი იქნება და დროს გაუძლებს, ხოლო მათი სახელები, ვინც მხოლოდ ჯილდოს მოპოვებაზეა ორიენტირებული და დაუმსახურებელ დიდიებას ეძებს, ისევე გაქრება ხალხის მეხსიერებიდან, როგორც მოთხრობის ბოლოს ავტობუსის გამქრალ-გაუჩინარებული მგზავრები. სწორედ ეს არის გიორგი სოსიაშვილის მოთხრობის მთავარი სათქმელიცა და აზრობრივი ქვეტექსტიც.

მოთხრობა „მუხა“ ესთეტიკურობით გამოირჩევა და მხატვრულად მოგვითხრობს, როგორც პერსონაჟთა ფსოქოლოგიურ, ასევე მათ ყოფით სინამდვილეზე. ეს თხრობა

თითოეული პერსონაჟის ინდივიდუალურობის გათვალისწინებით მიმდინარეობს. ამ ყველაფერს გიორგი სოსიაშვილი მდიდარი ლექსიკითა და თანდაყოლილი მწერლური უნარის წყალობით ახერხებს.

§ 3. „ბატონი ესტატე“

გიორგი სოსიაშვილის მოთხრობა „ბატონი ესტატე“ 2017 წელს დაიწერა და ამავე წელს შევიდა პროზაულ კრებულში „ნათლის გვირაბი“.

„ბატონი ესტატე“, ისევე როგორც, გიორგი სოსიაშვილის შემოქმედების გარკვეული ნაწილი, ეთმობა საზოგადოებრივი პრობლემატიკის გამოაშკარავებას,მის მხილებას,აღნიშნული ნაწარმოები ერთგვარი სარკეა,რომელსაც მწერალი საზოგადოებისათვის თვალის ასახელად იყენებს. მსგავსი მიდგომა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ყველა მწერალს როდი აქვს გაცნობიერებული „მართლის თქმის“ პრიციპის მნიშვნელობა. გიორგი სოსიაშვილი კი ბოლომდე დგება ქვეყნისა და ნამდვილი ლიტერატურის სამსახურში. ამის შესახებ საინეტესო მოსაზრება აქვს თამარ გელიტაშვილს: „როცა მოთხრობები მშობლიური ერის მანკიერება- ნაკლულოვანებაზეა, მათი ავტორი მაშინ უკვე აღარ ჰგავს ტკბილად მობაასეს, მშვიდ შემოქმედს.ამ დროს,ის თავისი მამხილებელი სიტყვით,ჩვენს დიდ წინაპარს, ილიას ემსგავსება, რომელიც „მართლის თქმის“ პრინციპის გამტარებელია და ამისაკენ თავისი ხალხის სიძულვილი კი არ უბიძგებს,პირიქით, მისი დიდი სიყვარული, რაც გამოხატულია ერში მანკიერებების აღმოფხვრითა და გამოსწორების გზაზე დაყენებით“ **(გელიტაშვილი 2017:4).**

ნაწარმოების მთავარი გმირია ვახუტია, რომელიც ადამიანთა დაუნდობლობასა და წუთისოფლის ამაოებაზე მეზობელი ძმების მაგალითზე დაყრდნობით საუბრობს - როგორ გადაეკიდნენ ერთმანეთს ისე, რომ საფლავებიც კი ცალ-ცალკე გაითხარეს. მძაფრი თემატიკის - ადამიანური ურთიერთობების გაუცხოვების პარალელურად, მწერალი ინარჩუნებს ოპტიმიზმს და ნათელ წერტილად გვიტოვებს ვახუტიას, რომელიც გამსჭვალულია ყველაზე დიდი ადამიანური გრძნობით - მადლიერებით. მადლიერება ბატონი ესტატეს მიმართ,რომელმაც გზა გაუკვალა,შანსი მისცა, წელგამართულს, ბედნიერად ეცხოვრა,თუმც ეს გზა არ ყოფილა დაბრკოლებების გარეშე. მდგომარეობას განსაკუთრებით გაუსაძლისად შურიანი ადამიანების

დამოკიდებულება ხდიდა. ამ ყველაფერს ავტორი ოსტატურად ქარგავს და, ერთი შეხედვით, ყოველდღიურ ყოფას ცხოვრებისეულ მაგალითად გვიხატავს: „აიღო და ორმოცდაათი მეასედი მომიზომა,თვალები ლამის გადმოუცვივდათ,შურით რომ აქვთ დაობებული გული კაცისა, აბა, რა უნდა უთხრა.ერთი ამბავი ჰქონდათ, ემაგას რო ორმოცდაათი მესამედი მიუზომე,ჩვენ ათ-ათიც არ გვხვდებაო“**(სოსიაშვილი 2017 :105-106)**. ესტატეს მიერ გადაცემულ მიწაზე ბაღი ააყვავდა, მაგრამ წუთისოფლის სიმუხთლემ ვახუტიასთვისაც მოიცალა და მთელი ცხოვრება ნაკოწიწებ კარ-მიდამოს მოსწყვიტა.აქ მწერალი ისევ გვახსენებს ქართულ-რუსულ კონფლიქტსა და მის გამანადგურებელ ზემოქმედებას ადამიანებზე, განსაკუთრებით მათზე, ვისაც ყოველდღე საკუთარი თვალით უწევს მტრის საგუშაგოს ხილვა საკუთარ მიწა-წყალზე. გიორგი სოსიაშვილის შემოქმედების თემატიკა ხომ სამშობლოს სიყვარულზეა აგებული,იმაზე, რასაც თავად სულით ხორცამდე განიცდის.

ვახუტიას განცდებს აორმაგებს და ამძაფრებს უსუსურობის განცდა და ფიქრი იმაზე, რომ ის არავის სჭირდება: -„ერთი კი ვუთხარი,არავინ არაფერს გახეირებს,ჭკუით მოიქეცი, თორემ მერე გვიანი იქნება-მეთქი. ვატყობდი, რომ არავინ არაფრად მაგდებდა, თუ არაფერი შეგაქვს სახლში, თუ მშოვნელი არა ხარ,ყველას ფეხებზე კიდიხარ. როცა ფული გიჭყავის ჯიბეში, ცოლსაც მაშინ უნდიხარ და შვილსაც, ე გამოფხეკილი, დარდით სავსე კაცი ვის რაში ვჭირდებოდი“**(სოსიაშვილი 2017:108).** მთავარი გმირის განცდებს ბანკირების გამოჩენა „აგვირგვინებს, რომლებიც კანონის სახელით სამართლის აღსრულებას მოითხოვენ. საგულისმოა ის ფაქტი,რომ ნაკვეთი, რომელიც ბაბუამ მიუზომა, შვილიშვილი ართმევს,შვილის წყალობით.

თავი მესამე - კუდაბზიკობა-ამპარტავნობის პრობლემატიკა გიორგის სოსიაშვილის შემოქმედებაში

ყველაერმა, რომელმაცდღევანდელობამდემოაღწია, სულიერიწრთობის, განვითარებისადასირთულეებთანგამკლავებისთითქმისერთნაირადმძიმეგზაგანვლო,თუმცაყველამათგანიბედნიერებასათუუბედურებასგანსხვავებულიმეთოდებითუმკლავდება. მათშორისგამორჩეულროლსმწერლობაირგებს, რომელიცერისსულისგამოხატულებაა, მისიჭირ-ვარამისმთქმელიდაგამზიარებელია: „როგორცჩვენიკლასიკოსებიიტყოდნენ: „მწერლობაძალაა, ერთიუმთავრესიიარაღთაგანიაერისწინსვლისა, მისიგონებისადაცხოვრებისგანვითარებისა. კარგიმწერალიისარის,ვისაცუკეთშეუგნიაესსაჭიროებადაუკეთესადემსახურებაამსაჭიროებისდაკმაყოფილებისსაქმეს“ [1-404] ქართულილიტერატურაოდითგანვეგანსაკუთრებულისტორიულროლსასრულებდა. სამართლიანადშენიშნავდაა. ბაქრაძე: „ქართველმახალხმასიტყვაკაზმულმწერლობასგანსაკუთრებულიმისიადააკისრა. იგიერისწინამძღოლადაღიარა“.**(ჭამპურიძეhttp://146.255.238.21/files/n.champuridze-2015konf..pdf).**

საბედნიეროდ, ქართულ ლიტერატურას ნამდვილი მწერლური მრწამსის, ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალულ, სიმართლის ხმით აღაღადებულ და „მართლის თმის პრინციპის“ მქადაგებელ მწერალთა მთელი კოჰორტა ჰყავს. ასე იყო ყოველთვის და ასე არის დღესაც.

გიორგი სოსიაშვილი, სწორედ ის მწერალია,რომელიც ღირსეულად განაგრძობს დიდი წინაპრების გზას და თვისი შემოქმედებით უპირისპირდება ეროვნულ მანკიერებებს, ამხელს მას და გვისახავს მასთან გამკლავების გზებს. ერთ-ერთი ასეთი თვისებაა კუდაბზიკობა-ამპარტავნება. ამ დროს არ შეიძლება, არ გაგვახსენდეს აკაკი წერეთლის მოთხრობა „კუდაბზიკეთი“, რომელიც არა მხოლოდ მხილებაა, არამედ პატრიოტიზმითა და იმედით აღსავსე ნაწარმოები, ისეთივე ოპტიმისტური, როგორიც

გიორგი სოსიაშვილის შემოქმედება, რადგან, როგორც ამბობენ, ნამდვილ მწერალს პესიმიზმი არ შეშვენის.

ამ ყველაფრის ფონზე,სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ მსგავსი თემატიკით შესრულებული ნაწარმოებების მხოლოდ თარიღები იცვლება,პრობლემა კი პრობლემად რჩება.

გიორგი სოსაშვილის შემოქმედებში ამპარტავნება-კუდაბზიკობის მხილება ძალიან ხატოვნად და ბუნებრივად არის გადმოცემული,ვისე ბუნებრივად, რომ თითოეულ ადამიანს, რომელიც ყურადღებით გაეცნობა ამა თუ იმ პერსონაჟს, შეუძლია, საკუთარი თავი ამოიცნობს. ამისი მიზეზი, მწერლის განსაკუთრებული ნიჭია, ისვევე როგორც მისი უშალო კავშირი მოვლენებთან. სწორედ ამას გულისხმობს თამარ გელიტაშვილი, როდესაც ამბობს: „მდიდარ ლექსიკას, ხატოვან სიტყვათქმას, როგორც ითქვა, პერსონაჟთა პიროვნული ინდივიდუალურობისწარმოჩენისსაშუალებადიყენებსმწერალი. უპირველესისაფუძველიამისაისგახლავთ, რომგიორგისოსიაშვილისპერსონაჟებიიმკუთხისშვილებიარიან, სადაცსაგანგებოდდაიარებოდამიხეილჯავახიშვილი,საკუთრიმწერლურილექსიკარომგა ემდიდრებინა.საოცარიძარღვიანობადასილაღეჩანსლიახვისხეობელთა საუბარში.მათიენათითქოსმათივეგარემოსნაწილია,მათივებუნება-ხასიათისთანაზიარია.სწორედესბუნებრიობაგადმოიტანაქაღალდზეგიორგისოსიაშვილ მათანდაყოლილინიჭისადაწერისგანსაკუთრებულიუნარის წყალობით. მისინაწარმოებები,მაღალმხატვრულობისპარალელურად,იგავურიცაა, დიდაქტიკურიცდაგროტესკულიც.ამყველაფერსკიხშირადსევდანარევიიუმორიგასდევს . გიორგისოსიაშვილისშემოქმედებითიქარგა, მშობლირიმიწისგაუნელებელდარდსადატკივილზეაგამოჭრილი.მწერლისბოლოდროინ დელმა, მრავალფეროვანითემატიკითდატვირთულმათხზულებებმა,რომლებიცშესულიაკრებუ ლში „ნათლისგვირაბი“,კიდევუფროგაამდიდრამისიშემოქმედება, უფროსაინტერესოდაშინაარსობრივიგახადაიგი“.**(გელიტაშვილი 2017 : 4).**

ნამდვილი მწერლობის სირთულეს ეხმიანება გიორგი ხორბალაძეც და პარალელს ავლებს თანამედროვე მწერლობასა და გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებას შორის. იგი წერს: „უამრავ ჰეროსტრატიზმის მიმდევარ შემოქმედთა შორის, საბედნიეროდ აქა-იქ უკუნში გამკრთალი სინათლის სხივივით აშუქებენ თითზე ჩამოსათვლელი ახალგაზრდა მწერლები. სწორი გზა რთულიც არის, ამიტომ მათ ერთი თვე და ერთი წელი არ ყოფნით მკითხველამდე მისასვლელად, გაცილებით მეტი დრო და შრომაა საჭირო. ამოტომ ხდება ზოგჯერ - აღმოაჩენ ახალგაზრდა მწერალს, გაიხარებ, დამწყებ შემოქმედს ეს რა კარგად დაუწერიაო და ჰოი საოცრებავ, რა დამწყები, წლების წინ შექმნილ ნაწარმოებს კითხულობ, რომელსაც წინ კიდევ არაერთი მშვენიერი ნამუშევარი უძღვის. გვიან კი მხოლოდ იმიტომ გაიგე, რომ ავტორი არც ყვირის, არც იგინება, არც სირცხვილის შეგრძნება აქვს დაკარგული, არის თავისთვის და წერს, წერს იმას, რაზეც ეწერება, რასაც პრობლემატურად მიიჩნევს და რაც მისი და შენი ტკივილია. წერს და გელოდება მოთმინებით...“ **(ხორბალაძე http://146.255.238.21/files/gasvla-sxeulidan-3.pdf).**

ძალიან რთულია,მწერლის შემოქმედების შესახებ ამომწურავად ისაუბრო, განსაკუთრებით მაშინ, როცა მწერალი საერო პრობლემატიკის პულსაციას გრძნობს და ცდილობის, თავისი შემოქმედებით სილა გაგვაწნას საქვეყნო სატკივარზე არ ზრუნვისა და გულგრილობის გამო, რომელსაც ჩვენში ეთიკისა და მორალის განადგურება მოჰყვება და ერთადერთი, რაც გვრჩება, კუდაბზიკობა და სხვის თვალში ამაღლების მოთხოვნილებაა.

სწორედ ამას ეწინააღმდეგება თანამედროვე ქართველი მწერალი გიორგი სოსიაშვილი თვისი შემოქმედებით, კერძოდ: ისეთი ნაწარმოებებით, როგორებიცაა: „დანიელები“, „უთქმმელი სადღეგრძელო“, „მეთორმეტე გაზაფხული“.

გიორგი სოსიაშვილს კარგად აქვს გააზრებული აქტუალური პრობლემატიკაზე მუშაობის სპეციფიკა და სირთულე. ეს მისი ცხოვრებაა. სწორედ ამის დასტურია გიორგი ხორბალაძის მოსაზრება. იგი ამბობს: „ეპოქები და მნიშვნელოვანი მოვლენები ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავენ ლიტერატურულ მიმდინარეობებს და ძირითად თემატიკას, რომელიც შემდეგ უმრავლეს მწერალთა შემოქმედებაში ამათუ იმ ფორმით წარმმართველ ადგილს იკავებს და უდიდესი მასალით ასაზრდოებს ლიტერატურულ ასპარეზს. ,,ეპოქას მოაქვს თავისი რითმი, თავისი ინერცია. მწერალმა უნდა იგრძნოს

ეპოქის პულსაცია, ეპოქის სული. მწერალი არ არსებობს ინდივიდუალური მწერლური თვისებების გარეშე, მაგრამ, თუ ეს თვისებები ეპოქის რიტმსა და ინერციაში არ ზის, ყოველთვის იქნება ანაქრონიზმი ნაწარმოებსა და ეპოქას შორის. „ეპოქები და მნიშვნელოვანი მოვლენები, ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავენ ლიტერატურულ მიმდინარეობებს და ძირითად თემატიკას რომელიც შემდეგ უმრავლეს მწერალთა შემოქმედებაში ამათუ იმ ფორმით წარმმართველ ადგილსიკავებს და უდიდესი მასალით ასაზრდოებსლიტერატურულ ასპარეზს. ,,ეპოქას მოაქვს თავისი რითმი, თავისი ინერცია. მწერალმა უნდა იგრძნოს ეპოქის პულსაცია, ეპოქის სული. მწერალი არ არსებობს ინდივიდუალური მწერლურითვისებების გარეშე, მაგრამ, თუ ეს თვისებებიეპოქის რიტმსა და ინერციაში არ ზის, ყოველთვისიქნება ანაქრონიზმი ნაწარმოებსა და ეპოქას შორის“(**ხორბალაძე** http://146.255.238.21/files/gasvla-sxeulidan-3.pdf). სწორედ ასეთი მწერალია გიორგი სოსიაშვილი, რომლის მთავარი მიზანიც, როგორც არაერთხელ აღვნიშნე, არის საზოგადოების გამოფხიზლება,ეროვნული მანკიერებების მხილება და გამოსწორება.

§ 1. „დანიელიები“

გიორგი სოსიაშვილის შემოქმედება მრავალფეროვანი და საინტერესოა, ისევე როგორც თხრობის თავისებურება. სწორედ ამიტომ უწოდებს მას მკვლევარი სოსო სიგუა რეალობის მხატვარს: „ახალთაობამ ლიტერატურაში მოიტანა აბსტრაქტული ხედვა, რაც გულისხმობს მშობლიური ადგილებისა და ეროვნული სატკივარის იგნორირებას. გიორგი სოსიაშვილი არ მიჰყვება ამ ტენდენციას, იგი რეალობის მხატვარია“ (სიგუაhttp://146.255.238.21/files/sigua.pdf).

გიორგისოსიაშვილისშემოქმედება, მისინოველებითუმოთხრობები, გაჯერებულიაეროვნულიპრობლემატიკით. ხშირადდაისმისსაკითხიადამიანთაეთიკურპრობლემებზე, ერთმანეთისგაუტანლობასადაშურზე, მათ კუდაბზიკობაზე,რადროსაც,არშეიძლება,არგაგვახსენდესკლდიაშილის „შემოდგომისაზნაურები“,რადგანკლდიაშვილიცადამიანთაზნედაცემულობაზეწერდა,რომლებიცმხოლოდდღევანდელიდღითცხოვრობდნენ,ერიკი,რომელიცარზრუნავსმომავალზე,გადაშნებებისთვსააგანწირული,მაგრამ, საბედნიეროდ, დღესაც არსებობენმწერლები,რომელთათვისაცუზენაესისწორედთავიანთიარსებობისგამართლებაა. არსებობისგამართლებაკისამშობლოსსამახურია, მისიტკივილისგაზიარება, მანკიერებების მხილება და სწორი გზის ჩვენებაა. სწორედასეთიმწერალიაგიორგისოსიაშვილიდამსგავსითემატიკითარის გაჯერებულიმისი ნაწარმოები „დანიელები“.

მოთხრობა „დანიელები“ 2017 წელსდაიწერადაამავეწელსშევიდაკრებულში „ნათლისგვირაბი“.

ნაწარმოების მოკლე შინაარსი ასეთია: საზღვრისპირა სოფელს დანიელები სტუმრობენ და ომისაგან დაზარალებული ხალხისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევას ცდილობენ. დანიელები სოფლის მკვიდრმა მათემ მიიყვანა. მათე იმ ორგანიზაციის წევრია, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომით დაზარალებულ ხალხს ეხმარება. მოთხრობაში მხატვრული ოსტატობითაა დახატული ქართველი კაცის ბუნება-ხასიათი, სადაც ღრმად არის ფესვგამდგარი შური და ბოღმა. აღნიშნული საკითხის შესახებ თამარ გელიტაშვილი ამბობს: „მოთხრობის წაკითხვის შემდეგ კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ „მართლის თქმის“ პრინციპს ჩვენში ყავლი არასდროს გასვლია. საქვეყნო სატკივარზე, ნაციონალურ მანკიერებაზე ფიქრი და განსჯა ბედისწერად ექცა ქართველ მწერალს. სიმართლის მალვა ქვეყანას არ წაადგება! - ამგვარია გიორგი სოსიაშვილის მიდგომა საკუთარი მხატვრული შემოქმედებისადმი. მისი მწერლური პოზიცია ზუსტად შეესატყვისება დავით გურამიშვილისეულ ფორმულირებას: „მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა ჰფარავს“ **(გელიტაშვილი 2017 :5-6).**

„მოთრობაში „დანიელები“ მკაცრად,შეულამაზებლად არის დახატული ჩვენი ყოფითი რეალობა. ომის ქარცეცხლმა კი არ შეკრა და შეადუღაბა საოკუპაციო ხაზის პირას მცხოვრები ხალხი,პირიქით,ბოღმისა და შურის ტყვედ აქცია.ყველასა და ყველაფერს ეჭვის თვალით უმზერენ, მათთვის უცხო გამხადა მოძმისათვის გაწეული სიკეთით მაშვრალობა,ამიტომაცარ სჯერათ თანასოფლელი მათეს უანგარობისა,რომელმაც დიდი ძალისხმევისა და მცდელობის შემდეგ სოფელში, ჰუმანიტარული მისიით,დანიელები ჩამოიყვანა, ერთი სატვირთო მანქანა ზეთითა და მაკარონით.ეჭვი არ ასვენებთ,ჰგონიათ, ამ ყმაწვილმა კაცმა მეტი სარგებელი ნახა, მათზე მეტი მიისაკუთრა“**(გელიტაშვილი 2017:6)**

რეალურად კი, მათეს მხოლოდ გაუბედურებული თანასოფლელების დახმარება უნდოდა, მაგრამ, ეს უანგარო ქმედება სოფლის მკვდრთათვის დაუჯერებელი აღმოჩნდა. თანასოფლელები, რომელნიც შანსს არ უშვებდნენ ხელიდან, ომის დროსმშობლიური მიწის მიტოვება ერთმანეთისათვის სიმთვრალეში არ წამოეყვედრებინათ, მათეს წინააღმდეგ გაერთიანდნენ. ყველაზე ცუდი კი, რაც დანიელების გამოჩენამ ცხადყო, საზოგადოებაში ჩაბუდებული სიხარბეა. „მგონი

რუსებზე არ იყვნენ ისე გულმოსულები, როგორც ერთმანეთზე. ცოლებიც ხო იქა ჰყავდათ, ყვირილი, წყევლა, გინება. მათე ხო მოისროლეს გვერდზე, მერე ლამის დანიელებიც გალანძღეს, თუ მოგქონდათ, ცოტა მეტი წამოგეღოთ, ნახევარ სოფელსაც ვერა ყოფნისო. მთელ სოფელსაც ეყოფოდა და ყელშიც ამოუვიდოდა იმდენი იყო, მაგრამ მიჰქონდათ და მიჰქონდათ, სამ-სამჯერ მოდიოდნენ“ **(სოსიშვილი 2017 :87).**

ძნელი წარმოსადგენი და რთული სათქმელია, რას გრძნობენ საზღვრისპირა მცხოვრები ადამიანები, რომლებმაც საკუთარ თავზე იგემეს ომის საშინელება, მისი დამანგრეველი შედეგი. მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს აზრიც, რომ სიხარბე, შური,ეჭვი და გაუტანლობა, რომელიც მაკარონის დარიგების ეპიზოდშია გადმოცემული, ომის დაღია,მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მოსაზრებას აქარწყლებს მკვლევარი თამარ გელიტაშვილი,რომელიც ამბობს: „მართალია,მოთხრობაში ომის შემდგომი პერიოდია ასახული და ბუნებრივია,ომმა თვისი დაღი დაასვა ადამიანთა ფსიქიკას, მაგრამ მარტო ომს ვერ დავაბრალებთ პერსონაჟთა გაუკუღმარეთებულ ფიქრსა და ქმედებას,მითუფრო უზომო ამპარტავნებას.გურამ ასათიანი, ქართულ ეროვნულ თვისება-ხასიათზე მსჯელობისას, ესეში „სათაავეებიდან“ წერს: „ჩვენ გამუდმებით სცენაზე ვდგავართ და სხვის დასანახავად ვთამაშობთ“. თუ ესმანკიერება არ მოვიშორეთ, სულხან-საბას თქმის არ იყოს: „რაისა ბოროტსა მოვიკვეთთ?“აგერ 21-ე საუკუნემდე გამოგვყვა კუდაბზიკობა -ეს ფსევდოფეოდალური,ფსევდორაინდული თვისება.მწერლობა მოვალეა,ერს საკუთარი ნაკლზე მიუთითოს და ამაზე დაგვაფიქროს,გიორგი სოსიაშვილის მოთხრობები სწორედ ამის დასტურია“.**(გელიტაშვილი 2017 :7).**

მოთხრობაში „დანიელები“ ნათლად არის გადმოცემული ფაქტი იმისა, თუ როგორ ვერ ახერხებს გათითოკაცებული და შურით აღსავსე საზოგადოება, გაერთიანდეს საერთო პრობლემის ირგვლივ, საქვეყნო სატკივარი და ოკუპაცია გააჟღერონ საერთაშორისო დონეზე, სხვა კუთხით წარმოჩინდნენ დანიელების წინაშე, სხვა ქვეყნის მოქალაქეებს, თვალნათლივ დაანახონ თავიანთი გასაჭირი და რეალური ყოფა, რომელიც რუსულმა ოკუპაციამ მოუტანა ჩვენს ქვეყანას. სამაგიეროდ, საუცხოო

სუფრას შლიან, ისეთ სუფრას, რომ ლამის შერცხვეთ სტუმრებს თავიანთი საჩუქრების გამო.

კუდაბზიკობა - ქართველი კაცის ეს ბუნება-ხასათი კარგად არის გადმოცემული მოთხრობის ერთ-ერთ მონაკვეთში, სადაც დანიელების მასპინძელი სოფლის მცხოვრებნი ამბობენ: „- მაგათ ეგონათ, რომ მშივრები დავიხოცებოდითო, - ხარხარებდა ლონგეს ბიჭი. აი, მაგათ სამი თითის კომბინაციაო. - რუსებს გულისხმობდა. გივის ცოლმა ხაჭაპურები დააცხო, სანამ სუფრას გაშლიდნენ, ეზოშივე გაუჭრეს დანიელებს... რა ომი, რის ომი... შემწვარ-მოხრაკულები არ ეკლდა სუფრას. ჭერეხივით ეყარა მწვადი და დედლები...“ **(სოსიაშვილი 2017:90).**

გიორგი სოსიაშვილი მოთრობაში „დანიელები“ გამოხატავს უდიდეს ტკივილსა და მწუხარებას, ქართველი ერის მანკიერი თვისებისს გამო,იმის გამო რომ საყოველთაო უბედურებამაც კი ვერ შეძლოთანამემამულეების გაერთიანება. ამდენად, მოთხრობა სამწუხარო დასკვნას ცხადყოფს: „ეს უცხოს თვალში ღირსეულად წარმოჩენის სურვილია მხოლოდ, ეს კუდაბზიკობა-ამპარტავნობის გამოვლინებაა ღირსებადაკარგული ხალხის მიერ. როგორც ჩანს, ეს მანკიერება ვერა და ვერ დავძლიეთ, ვერ ამოვძირკვეთ ჩვენი ხასიათიდან, რომელსაც უცხოელი მწერალ-მოგზაურნიც მშვენივრად ამჩნევდნენ. ამას აღნიშნავდნენ შარდენიც, გამბაც, დიუმაც...“ **(გელიტაშვილი 2017:7).**

§ 2. „უთქმელი სადღეგრძელო“

ყველა ეპოქას თავისი განსაკუთრებული მწერალი ჰყავს,რომელიც თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით,საზოგადო საქმიანობას ეწევა,შესაბამისად, მათი როლიც გამორჩეულია. თანამედრივე ქართულ ლიტერატურას ამგვარი მრწამსით გიორგი სოსიაშვილი მოევლინა, რომელსაც სოსო სიგუა ამგვარი სიტყვებით ახასიათებს: „თავის თეორიულ კონცეფციას იგი შლის მხატვრულ პროზაშიც ნოველების, მოთხრობების, ეტიუდების სახით. მეცნიერული თვალსაზრისი და მწერლური სამყარო აყალიბებენ ავტორის ერთ მთლიან წარმოდგენას მარად განუკურნებელ ქართლის ჭირსა და ასევე, მარად გადაუჭრელ ქართლის ბედზე.**(სიგუა http://files.gu.edu.ge:81/gs/files/sigua.pdf).**

მოთხრობა „უთქმელი სადღეგრძელო“ 2016 წელს დაიწერა და 2017 წელს შევიდა კრებულში „ნათლის გვირაბი“. ისევე, როგორც მთელ შემოქმედებაში, გიორგი სოსიაშვილმა აღნიშნულ მოთხრობაშიც თქვა თავისი ჩვეული სათქმელი.

მოთხრობა ეროვნული მანკიერებების მხილების კიდევ ერთი თვალსაჩინო ნიმუშია. ავტორი ამას ძალიან ბუნებრივად, საოცარი გულწრფელობით აკეთებს.

გიორგი სოსიაშვილს აქვს განსაკუთრებული უნარი,ადამიანთა განცდების სიღრმისეული წვდომისა და მათი სამზეოზე მხატვრულად გამოტანისა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოთხრობა „უთქმელი სადღეგრძელო“ გიორგი სოსიაშვილის შემოქმედების წარმომადგენლობითი თემატიკის ნიმუშია, სადაც ავტორი კიდევ ერთხელ მკაცრად ამათრახებს ქართულ კუდაბზიკობას და მისი აღმოფხვრის აუცილებლობაში გვარწმუნებს. ნაწარმოებში ნანატრი ლხინის სცენაა გადმოცემული,სადაც პირველობა სხვა ადამიანს ხვდა წილად. ამას აპროტესტებს ერთ-ერთი პერსონაჟი მილო:

„მალო იდგა და თამადას მოკლედ დაბმული მოზვერივით უბღვერდა“.

- ამნაირების დრო რო მოვიდა, ამნაირებისა. აემ ხეობაში, ჩიტი ვერ გადაიფრენდა ჩემ გარეშე, გახსომთ?“ **(სოსიაშვილო 2016:18).**

მწერალი მალოს მთელ საქართველოსთან აიგივებს,როგორც ილია ჭავჭავაძე - ლუარსაბს. მილო კუდაბზიკობის მწარე გრძნობას ჰყავს შეპყრობილი და ეს გრძნობა მას მოსვენებასაკარგვინებს. როცა ყურადღების ცენტრში თავად არ არის,წასვლაზეც ფიქრობს, მაგრამ, „მტრისთვის“ ზურგის ჩვენება არ უნდა. „მალო იდგა და რა გაეკეთებინა, არ იცოდა. თითქოს წასვლა უნდოდა,მაგრამ, იტყოდი ბრძოლის ველიდან გაქცევას ერიდებაო“**(სოსიაშვილი 2016:19).**

კუდაბზიკობის გარდა, „უთქმელ სადღეგრძელოში „მწერალი ქართული სუფრის ტრადიციას სხვა რაკურსით წარმოგვიჩენს. რა თქმა უნდა, ესეც მხილებაა, მხილება მანკიერებისა და იმ მავნე გავლენებისა, რომელიც მოგვდგამს ქართველ ერს, ბევრი ღირსების მიუხედავად. ერთ-ერთი ასეთი ფაქტია თამადის პრივილეგირებულობა. ალბათ, ესეც ჩვენი ხასიათით არის გაპირობებული,იმით, რომ ყოვლთვის მოიძებებიან ადამიანები, ვისაც ტაშის გარეშე არ შეუძლიათ, თუმცა მათ გარკვეული პასუხიმგებლობაც აკისრიათ, როგორიცაა სუფრის წევრების ცნობა და სიმკაცრე. თამადა მკაცრი უნდა იყოს, თორემ... - კაკოც აჰყვა, ქებაანთ ბიჭის მეზობელი“**(სოსიაშვილი 2016:20).**

მალოს პერსონაჟით ავტორი თვალნათლივ გვიხატავს ქება-დიდებით, განდიდების მანიითა და კუდაბზიკობით შეპყრობილ ადამიანთა სულიერ დაცემას, როცა მათ ეს ყველაფერი ხელიდან ეცლებთ. სწორედ მაშინ წარმოჩინდება ადამიანის

ნამდვილი სახე, როცა იგი აღარაფეს წარმოადგენს. სულმდაბალ ადამიანებს სხვების მიმართ აგრესია უჩნდებათ და მათი ცხოვრების ერთადერთ,ნათელ წერტილად, მათი მისამართით კიდევ ერთხელ წამოცდენილი სიტყვა რჩება, კიდევ ერთი სადღეგრძელო, ამას ემატება გარშემომყოფთა დაცინვა,რომელთა პატივისცემაც დროსთან ერთად მიილია. ესეც ხომ ჩვენი კიდევ ერთი მაკნკიერი თვისებაა, როცა შეგვიძლია, წაქცეული ადამიანი კიდევ უფრო დავამციროთ.

სწორედ ზემოთ აღნიშნულზე მეტყველებს ავტორის სიტყვები: „-ეხლა ხო იცი,-კაკის ჩასჩურჩულა არსენამ._თამადას უნდა დაელოცა,ელოდებოდა, ერთი სული ჰქონდა, როდის გამოაცხადებდნენ ამ კვახივით გასახეთქს,ამას.თავის სადღეგრძელო ყველა ოჯახს დააწესებინა,იტყვი რო პრისტავი იყო,თუმცა ..... აღარ არის ის დრო და ვეღარ ეგუება,ვეღარ ელევა.მალო,მალო,მალო.აბა, ვინმეს სუფრა გაეშალა და არ დაეძახა,მარტო დაძახება?სუფრის თავში არ გამოეჭიმა და თამადად არ დაენიშნა, აუუ მერე გენახათ. აბა,ვინმეს სოფლის საქმე გადაეწყვიტა მალოს გარეშე,აბა ვინმეს მიჯნა-სამანზე წადავებულ-წაკინკლავებული მეზობლები მალოს გარეშე დაეშოშმინებინა.ნასწავლი კაცია და ყველგან უძახდნენ.პარტოგორი იყო,მალო... -ჩურჩულებს არსენა“ **(სოსიაშვილი 2016 :21).**

მოთხრობის დასასრულსავტორი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს ჩვენს რეალურ სახეს, რომელიც ისეთსავეცვალებადსა და მედროვეს, როგორც სუფრის დასახელება,რომელსაც მწერალი შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: „ირყევა მაგიდა, მაგიდა ნაქორწილარ-ნაქელეხარ-ნაძეობარი...“**(სოსიაშვილი 2016:24).**

დასკვნის სახით,შეიძლება ითქვას,რომ მხოლოდ საზოგადოებას შესწევს ძალა, სასიკეთო გავლენა მოახდინოს ერთმანეთის ცხოვრებაზე,არა დაცინვით, არამედ შეცდომებზე მითითებით მისცეს შანსი, სხვა მხრიდან დაინახოს საკუთარი თავი. სწორედ ეს არის ადამიანის დანიშნულება და ეთიკური მწამსი. რაც შეეხება მწერალს, მას უფრო დიდი ტვირთი აქვს საზიდი. იმისათვის, რომ მან რეალობა ასახოს მხატვრულ ლიტერატურაში,არა მხოლოდ ფაქტების შეცნობა, არამედ, მათი შეგრძნება უნდა შეეძლოს. სწორედ ეს განსაკუთრებულობა ქმნის ნამდვილ შედევრებს, რომელთა წაკითხვის შემდეგ ცოტა ხნით მაინც უკეთესი ადამიანები ვხდებით და იმედით შევცქერით მომავალს. სწორედ ასეთი მწერალია გიორგი სოსოაშვილი,რომელიც თავისი

შემოქმედებით ბევრს გვასწავლის, მაგრამ, ბევრსაც სააზროვნოდ გვიტოვებს. სწორედ ამას გულისმობს თამარ გელიტაშვილი კრებულ „ნათლის გვირაბის“ შეფასებისას, როდესაც ამბობს: „კიდევ ბევრი დარჩა სათქმელი გიორგი სოსიაშვილის მოთხრობებსა და ნოველებზე,მაგრამ ბუნებრივია,ამ ყველაფერს შესავალი წერილი ვერ დაიტევდა.ამასთან,ნიკო ლორთქიფანიძის თქმისა არ იყოს,მკითხველს უნდა დაუტოვო ადგილი სააზროვნოდ. იმედი მაქვს,მოაზროვნე მკითხველი ბევრ საგულისხმოს იპოვის „ნათლის გვირაბში“ **(გელიტაშვილი 2017 :16).**

§ 3.„მეთორმეტე გაზაფხული“

გიორგი სოსიაშვილი თავის შემოქმედებაში ჩვენს ქვეყანაში არსებულ ყველა პრობლემატურ საკითხს ასახავს. ამის შესახებ შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამს სოსო სიგუა: „გიორგი სოსიაშვილი ჩვენი სინამდვილის კონცეფციური მხატვარია. იგი ცალკეული პერსონაჟებით, დიალოგებით, გადმოგვცემს ეროვნულ დრამას, დეტალებით აღადგენს მთლიან სურათს, რეალურს და არა მიკერძოებულს ან რომანტიკულს“(**სიგუა http://files.gu.edu.ge:81/gs/files/sigua.pdf**).

მოთხრობა „მეთორმეტე გაზაფხული“ 2014 წელს დაიწერა და 2015 წელს შევიდა კრებულში „მავთულხლართი“.

ყველა მწერლის შემოქმედებაში არის განსაკუთრებულად ემოციური და სულისშემძვრელი ნაწარმოები, რომლის წაკითხვის შემდეგაც რაღაც იცვლება მკითხველში, როცა ავტორი ცდილობს, დაგაფიქროს. სწორედ ასეთი ნაწარმოებია „მეთორმეტე გაზაფხული“, სადაცავტორს არაამქვეყნიური გრძნობებითა და ემოციებით აქვს გადმოცემული შემთხვევით მომხდარი ტრაგედიისკიდევ უფრო ტრაგიკული გაგრძელება.გიორგი სოსიაშვილის თხრობისა და გადმოცემის უნიკალურობაზე

საუბრობს გიორგი ხორბალაძე, როდესაც ამბობს: „ავტორი დაბეჯითებით არაფერს გიმტკიცებს ის მხოლოდ ფაქტებს მოგითხრობს და ამფაქტების შეფასების ყველა ვარიაციაზე გაყენებს საქმის კურსში. დასკვნები თავად უნდა გააკეთო, ხოლო ეს რომ შესძლო, ფიქრებით მაინც,თუნდაც წამიერად უნდა ამაღლდე, ამაღლდე და ზემოდან გადმოხედო სამყარს.

(ხორბალაძე http://146.255.238.21/files/gasvla-sxeulidan-3.pdf)

სამყაროს სხვანაირად დანახვის შესაძლებლობას ლიტერატურა უშიშარი და პატრიოტული გრძნობებით აღსავსე მწერლების მეშვეობით ახერხებს.ისეთი მწრელებისა, რომელებიც ოპტიმისტურად განწყობილები არიან, იმედის მარცვლები კი გიორგი სოსიაშვილის შემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხაზია.

მოთხრობა „მეთორმეტე გაზაფხული“ ცხოვრებისგან საკუთარი ნებითვე დაჩაგრული ადამიანის სიმართლის გამხელისა და მის გარშემო დაგროვილი სიძულვილის გაქარწყლების სურვილით იწყება,რომელსაც სიმარტოვით გამოწვევული სინანულის გრძნობაც ახლავს.

მოთხრობის შესავალს ძალზე ტრაგიკულს ხდის სცენა, პერსონაჟის გონებაში ამოტივტივებული დედასთან ბოლო შეხვედრისა, რომელიც გამწარებულ სიცოცხლესა და მკვლელის გამზდელის სახელით გასატარებელ დღეებზე დარდობს. სახეგაქვავებულ დედას გულის სიღრმეში სჯერა შვილის უდანაშაულობისა და ამაში დასარწმუნებლად ხავსს ეჭიდება,მაგრამ, პასუხად მხოლოდ დუმლს იღებს.მიხვდა, ვერასოდეს დაამტკიცებდა, რო მისი შვილი უდანაშაულო იყო, ვერასდროს...

მართაში ერთდროულად ბობოქრობს ორი გრძნობა, სირცხვილი და საკუთარი შეცდომების აღიარების შიში. ეძნელება შვილის აღზრდაში დაშვებული შეცდომების აღიარებისა: „„მეთორმეტე გაზაფხულის“ მკითხველმა კარგად ვიცით, მართას დედის ვალი პირნათლად აქვს მოხდილი და მისმა შთაგონებამ, დაჩაგრულის ხსნისა და მოყვასის სიყვარულისა რეალობაში ჰპოვა ასახვა, როცა მის მიერ გაზრდილმა შვილმა მეგობრის დანაშაული დაიბრალა, თუმცა, ჩემი აზრით, გიორგი სოსიაშვილი, მართას სახით, საზოგადოების განვითარებისა და სრულფასოვნად ჩამოყალიბების საქმეში დედის როლის მნიშვნელობაზეც აქცენტირებს.

ალბათ, იშვიათია პასუხისმგებლობის იმგვარი განცდა, როგორიც მართას აქვს - თავად გამწარებული, მოკლულის ცოლ-შვილის უბედურებაზე საუბრობს და თავს დამნაშავედ მათ წინაშე გრძნობს.

მოთხრობაში ძალიან მნიშვნელოვანია კიდევ ერთი დეტალი - ეს საზოგადოების დამოკიდებულებაა უდანაშაულო დამნაშავის მიმართ, საზოგადოების სრული გულგრილობა, დაჩგრულის კიდევ უფრო დაბეჩავება და განადგურება. სწორედ ეს არის გიორგის სოსიაშვილის კალმით ბრძოლის სამიზნე, საზოგადოებაში წარმოშობილი მორალურ-ეთიკური პრობლემები - ადამიანთა გაუტანლობა და ამპარტავნობა.ძალადობის დამგმობნი სამართლის აღსრულებას ძალადობით ითხოვენ. ბრალდებულის მარტოობასა და ბრბოს მოთხოვნას შემდეგნაირად გადმოგვცემს ავტორი: „ერთი გულშემატკივარიც არ არის დარბაზში.მხოლოდ მოკლულის ახლობელები,მხოლოდ გარდაცვლილის ნათესავები.აბობოქრებული სოფელი ვერ ეტევა სასამართლო დარბაზში.მუშტებს იქნევენ,ლანძღავენ,აგინებენ. მაგას რაღა გამართლება უნდა,ჩვენ გადმოგვცენ და ჩვენ ჩავაძაღლებთ, დავსერავთ და მარილს ჩვაყარითო“ **(სოსიაშვილი 2014 :40).**

„მეთორმეტე გაზაფხულში“ მკითხველის ყურადღებას კონფლიქტის წამოწყების მიზეზები და მისი განვითარება იწვევს,სადაც თავს ძალიან ბევრი მანკიერი თვისება იჩენს,თვისებები, რომელთა მხილებაც გიორგი სოსიაშვილის შემოქმედების ერთ-ერთი მაგისტრალური ხაზია.სწორედ ასეთი თვისებაა დაჩაგრულის, წაგებულის ჩაწიხლვა, არაადამიანური თვისებების გამოღვიძება,მეორე მხრივ კი, წაგებულის კუდაბზიკობა და თავის წარმოჩენის მცდელობა,რომელსაც უამრავი საშინელი ფიქრი მოსდევს. სწორედ ამას გულისხმობს გიორგი სოსიაშვილი, როდესაც ამბობს: „თამაში ყოველთვის ვიღაცის წაგებით მთავრდება. წაგებული კაცი სულში ჩაფურთხებულია, ჩაწიხლულია, ღირსება აყრილია და ცდილობს, საკუთარ თავს დაუმტკიცოს, რო არ არის ისეთი ფარჩაკი. მერე ამ დამტკიცების მცდელობას მოაქვს უამრავი სისაძაგლე,რომელიც შეიძლება მეტოქის განადურებით დამთავრდეს.აქ ფულის წაგებაზე არ არის საქმე. წაგებულ კაცში ცხოველური საწყისი იღვიძებს და მილიონი წლის წინანდელ ეპოქაში ბრუნდება, როცა ნანადირევს ვერ იყოფდნენ ტყავით სხეულდაფარული მღვიმის ბინადრები.ხანდახან ხორცის ნაჭერის გამო ადამიანი ადამიანს კლავდა. ხშირად ერთმანეთსაც ჭამდნენ. ჩვენ

ცხოველები ვართ. განვვითარდით, მაგრამ, ძალიან თუ ჩაყვები, შენს შინაგან სამყაროს ჩაუყურყუმელავდები,ისევ ტყავით შემოსილ ადამიანს დაინახავ“ **(სოსიაშვიილი 2014:37).**

ნაწარმოების კითხვისას, არ შეიძლება, ყურადღების მიღმა დაგვრჩეს ციხეში დაწყებული მეგობრობის ამბავი,ისეთი მეგობრობისა, სულში ჩაწვდომა, პიროვნული თვისებების აღმოჩენა, სიკვდილმისჯილში უნდანაშაულო ადამიანის დანახვა რომ შეუძლია, დუმილით და, რაც მთავარია, მანუგეშებელია ადამიანისთვის, იმედის მომცემი. - „რაც არ უნდა მითხრა, როგორც არ უნდა უარყო,ვიცი,რო ტყუილად ზიხარ ამდენი წელია.დუმილში ხარ და დუმილი გამცემია ადამიანისა.

- შენ მკვლელი არ ხარ, ათას გარეწარს შევხვედრილვარ, ათასი ნაძირალა, ყაჩაღი, კაცის მკვლელი მინახავს, მიურთიერთია, შენც შეგისწავლე.

ვიცი, რომ მოკვლას დაგიპირებენ და ითვლი შენი პატიმრობის დღეებს, მაგრამ გადაიფიქრებენ“.**(სოსიაშვილი 2014 : 36-37).**

ყველაფერი მართლაც ასე ვითარდება, ნამდვილი მკვლელი სიცოცხლის ბოლო წამებს სინანულში ატარებს, მთელი გულით შეინანებს ცოდვას უდანაშაულო კაცისა და მოხუცი დედის მიმართ ჩადენილს, მოხუცი დედისა, რომელმაც სიცოცხლის უკანასკნელი წუთები მკვლელის აღმზრდელის სახელით გაატარა.

ბუნების საოცარი აღწერით გადმოგვცემს მწერალი უდანაშაულო დამნაშავის სოფელში დაბრუნების ისტორიას, თითოს სასიკეთო სიახლისთვის გვამზადებს, ოპტიმიზმი ხომ ისეთივე ძირითადი კომპონენტია ნამდვილი მწერლის შემოქმედებაში, როგორც „მართლის თქმის პრინციპი“.

მიუხედავად ბევრი იმედგაცრუებისა, ავტორი წმინდა გრძნობების არსებობაში კიდევ ერთხელ ცდილობს ჩვენს დარწმუნებას,ცდილობს, დაგვაჯეროს, რომ არსებობს ნამდვილი მეგობრობა და ის თითოეულ ჩვენგანშია, როცა ჩვენ ვწირავთ თავს სხვისთვის, საკუთარ თავს მაინც ვაჯერებთ ნამდვილი მეგობრობის არსებობაში. „-ვანემ კი გიღალატა, მაგრამ შენ ხომ დაამტკიცე,რო ნამდვილი მეგობარი ხარ,უფრო სწორად, შენს თავს დაუმტკიცე,რომ მეგობრობა შეგიძლია. ციხის კედლებში ამოგიღამდა თვალები,ნაადრევად დაბერდი,გათეთრდი,გატყდი, მაგრამ მაინც დაამტკიცე, რომ მეგობრობა შეგიძლია.ამიტომ მისმა ღალატმა არ გათქმევინოს ცუდი მეგობრულ

გრძნობებზე.ვიღაცა ღალატს სჩადის, ვიღაცას თავგანწირვა შეუძლია, მაგრამ, მეგობრობა მაინც არსებობს, მაინც გრძელდება. ასეთია ცხოვრება. ღალატიც აქვს და თვგანწირვაც“ **(სოსიაშვილი 2014 :47).**

ნაწარმოების დასასრული ადამიანური გრძნობებით განმსჭვალული და იმედის მომცემია, იმედი ადამიანური ურთიერთობებისა და გრძნობების არსებობისა, ისეთი გრძნობებისა, როგორებიცაა: სამართლიანობა, მიტევება, თანაგრძნობა,პატიება .....

სიმბოლურია, რომ საფლავთან ხდება უდანაშაულო დამნაშავისა და მოკლულის შვილის შეხვედრა, საფლავთან, რომელიც ამქვეყნიური ცხოვრების დასამარების სიმბოლოა, მაგრამ აქვე ჩნდება იმედი მომავლისა, სიკეთისა, სამართლის აღსრულებისა.-„მაპატიე. - ბიჭი კარგახანს უმზერდა.კუშტი თვლებით აკვირდებოდა ციხის ცხოვრებისაგან შეჭმულ სასაფლაოს ცოცხალ ბინადარს და ბოლოს ჩაილაპარაკა: - მე ყველაფერი ვიცი, ვიცი. გაუმხელელი არაფერი რჩება. - მერე ისევ ჩაიმუხლა და საქმე გააგრძელა. უდანაშაულო დამნაშავე კი იდგა,იდგა თითქოს საკუთარ ჭერქვეშ მოსულიყოს, იტყოდი, სასაფლაოს კიდევ ერთი ბინადარი შეემატაო“ **(სოსიაშვილი 2014:49).**

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომში -„ეთიკური პრობლემატიკა გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებაში“ მიმოვიხილეთ მწერლის შემოქმედების ძირითადი ასპექტები, მისი მრავალფეროვანი თემატიკა და თვისებურებები.

აუცილებლად უნდა ითქვას,რომ გიორგი სოსიაშვილის შემოქმედების მაგისტრალურ ხაზს ეროვნული სატკივრის ასახვა და „მართლის თქმის“ პრინციპი წარმოადგენს.

ჩვენ განვიხილეთ გიორგის სოსიაშვილის მხატვრული შემოქმედების ის ნაწილი, სადაც გადმოცემულია ადამიანთა დანიშნულება, მათი კუდაბზიკობა და ეროვნული მანკიერებანი. სწორედ აღნიშნული პრობლემატიკის წამოწევა და მათი მხატვრულად გადმოცემა ხდის სოსიაშვილის შემოქმედებას განსაკუთრებულს ქართულ თანამედროვე ლიტერატურაში.

გიორგი სოსიაშვილის ნაწარმოებების კვლევისას, რაც ძირითადად სხვადასხვა მეცნიერთა მოსაზრებებსა და უშუალოდ ტექსტებზე დაყრდნობით ვაწარმოეთ, გამოირკვა, რომ მწერალს საკუთარი ქვეყნის სატკივარი სტიკვა. მთელი მისი მხატვრული პროზა მის მწერლურ ოსტატობასა და მდიდარ შინაგან სამყაროს ასაცნაურებს. გიორგი სოსიაშვილის თხზულებები მრავალგავრი წაკითხვის საშუალებას იძლევა და ამითაც არის გამორჩეული. ყოველი ცალკეული მოთხრობისა თუ ნოველის აზრობრივი შინაარსს ამოკითხვისას და მათი ჰერმენევტიკული ანალიზისას, მრავლად წამოიჭრება და საცნაურდება სადღეისოდ აქტუალური პრობლემები.

პირველ თავში ვისაუბრეთ ადამიანის დანიშნულებაზე, მათ შინაგან განცდებზე, რომლებიც გადმოცემულია სხვადასხვა პერსონაჟის სახით; მეორე თავში განვიხილეთ ეროვნული მანკიერებების მხილებისა და „მართლის თქმის“ პრინციპისგიორგი სოსიაშვილისეული ხედვა, საიდანაც ნათლად გამოიკვეთა მწერლის განსაკუთრებულობა და მისი განუზომლად დიდი როლი თანამედროვე ლიტერატურაში.მესამე თავში ვისაუბრეთ ამპარტავნების პრობლემატიკის შესახებ, რომელიც ძალიან რთულმა მდგომარეობამაც ვერ შეცვალა ჩვენში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ბერდიაევი 1993:41** ბერდიაევი. „ერიდაკაცობრიობა“ (თარგმნაზურაბკიკნაძემ), „ლომისი“, თბ:. 1993;

2. **გელიტაშვილი 2018:** გელიტაშვილით. „მავთულხლართისპირისპირ“ , ჟურნალი„ცისკარი 1852“ 2016, №5; გვ.5-7;

3. **გელიტაშვილი 2017**: გელიტაშვილით. „ცოტარამ„ნათლისგვირაბის“შესახებ“, „უნივერსალი“, თბ:. 2017; გვ.5;6;7;10;13;14;4;16.

4. **ეცადაშვილი 2016:** ეცადაშვილინ.ინტერნეტრესურსი,<http://146.255.238.21/files/nanuli-etsadashvili.pdf> [**25.07.2020**]

5. **სიგუა:**სიგუას.ინტერნეტრესურსი „ჩვენი ცხოვრების სურათბი.“ <http://146.255.238.21/files/sigua.pdf>[**25.07.2020**]

6. **სოსიაშვილი 2015:** სოსიაშვილიგ, „მავთულხლართი“„უნივერსალი“, თბ. 2015. გვ.36;37;40;47;49.

7. **სოსიაშვილი 2017:** სოსიაშვილიგ.„ნათლისგვირაბი“, „უნივერსალი“, თბ. 2017.გვ.178;190;213;105;106;108;87;90,18;19;20;21;24

8. **სოსიაშვილი 2017:** სოსიაშვილიგ.„მესაფლავენი“, „უნივერსალი,თბ.2017 გვ.9;35

9. **სოსიაშვილი 2018:** სოსიაშვილიგ. „გამცოცხლებელნი“, უნივერსალი“ თბ.2017გვ.52;53.

10. **ტოტიკაშვილი:** ტოტიკაშვილიმ.ინტერნეტრესურსი,**<http://146.255.238.21/files/mari-totikashvili.pdf>[27.07.2020**]

11. **ჩხეიძე**: ჩხეიძერ. ინტერნეტრესურსი„„მიწის სურნელი -თხრობის სარჩულად“ <http://146.255.238.21/files/rostom-cheidze.pdf>[**27.07.2020**]

12. **ცერცვაძე:**ცერცვაძემ.ინტერნეტრესურსი„ფიქრები გიორგი სოსიაშვილის ახალი წიგნის(„მესაფლავენის“) კითხვისას.“<http://146.255.238.21/files/CERCVADZE.pdf>

[25.07.2020]

13. ჭამპურიძე:

ჭამბურიძენ.ინტერნეტრესურსი„იდეოლოგიურწნეხშიმოქცეულისოფლისცხოვრებისმხატვრულიგააზრებაახალგაზრდამწერლისშემოქმედებაში“<http://146.255.238.21/files/n.champuridze-2015konf..pdf>[25.07.2020]

14. ხორბალაძე :

ხორბალძეგ.ინტერნეტრესურსი„ადამიანურიგანცდებიომისადაოკუპაციისპირობებში,ქართულიდამსოფლიოლიტერატურისერთიანკონტექსტშიგააზრებით“<http://146.255.238.21/files/gasvla-sxeulidan-3.pdf>[22.07.2020]

15.ხორბალაძე : ხორბალაძეგ. ინტერნეტ რესურსი „მარადიული პრობლემების ხედვა თანამედროვე მოთხრობაში გ.სოსიაშვილის მოთხრობის ,,გასვლა სხეულიდან“ მიხედვით“ <http://146.255.238.21/files/gasvla-sxeulidan-3.pdf>[22.07.2020]

16.ხორბალაძე : ხორბალაძეგ. მავთულხლართი - ახალიპრობლემათანამედროვექართულლიტერატურაში<http://146.255.238.21/files/gasvla-sxeulidan-3.pdf>[22.07.2020]